სარჯიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 2 აგვისტო 2003 №142 (1914) | ფასი 50 თეთრი

„ტიგრ ულიანოვსკაია ბოქსი"

აგვისტოს პასიანსი



დინამომ შუშაკი არ გაყოლ

ჭორდანია ნაკრების ქართველ მწვრთნელს ეძებს

ბერიკა ფალავანდიშვილი ბოქსი

იხილეთ მეორე გვერდი

„ტიგრ ულიანოვსკაია ბოქსი"

შუაღამე

მერაბ ჟორდანიასთვის შუშაკი ნაკრების მწვრთნელია

გუშინწინ, ფაქტობრივად, გუშინ უცხოეთიდან დაბრუნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. ამასობაში კვლავაც გაურკვეველია, ვინ უთავკაცებს ეროვნულ ნაკრებს. ფედერაციის პრეზიდენტს პირველ რიგში სწორედ ამაზე დავეკითხეთ...



— ამ ეტაპზე ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ნაკრების მწვრთნელის საკითხია. ამ დღეებში ალბათ შესაძლებელი გახდება, გავიგოთ, თუ როგორ უყურებს ივო შუშაკის ნაკრებში მუშაობას „დინამოს" ხელმძღვანელობა. ვფიქრობ, 2-3 დღეში საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით. 20 აგვისტოს ჩვენს ნაკრებს ამხანაგური მატჩი ელის და მწვრთნელის საკითხი მალევე უნდა გადაწყდეს.

— ვთქვათ, შუშაკმა ეს შესარჩევი ციკლი ჩაამთავრებინა ნაკრებს. მერე ვინ უთავკაცებს ეროვნულ გუნდს?

— ეს უკვე წლის ბოლოს გაირკვევა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, თუ როგორ ჯგუფში აღმოვჩნდებით, რა გუნდები შეგვხვდებიან მეტოქეებად. არ არის გამორიცხული, რომ შუშაკის კანდიდატურა იმ დროისთვისაც სერიოზულად განვიხილოთ.

— „დინამოს" „ტირანასთან" მარცხის შემდეგ თქვენი დამოკიდებულება შუშაკის მიმართ არ შეცვლილა?

— არა. ვფიქრობ, ამ მარცხის შემდეგ „დინამოს" ხელმძღვანელობას სერიოზული საუბარი უნდა ჰქონოდა ფეხბურთელებთან, რადგან შინ 3:0 მომგებ გუნდს საპასუხო მატჩისთვის პრობლემები არ უნდა შექმნოდა.

— შუშაკმა ახლახან თქვა, მზად ვარ, საქართველოს ნაკრებს უსასყიდლოდ ვემსახუროო. რამდენად პროფესიონალურად მიგაჩნიათ მწვრთნელის ასეთი განცხადება?

— შუშაკმა ალბათ ამ ციკლის დარჩენილი მატჩები იგულისხმა. მის ამ განცხადებაზე მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ანაზღაურების გარეშე მწვრთნელის ნაკრებში მუშაობა არასერიოზული და არაპროფესიონალური მგონია. ჩვენს ნაკრებში მწვრთნელებს არასდროს უმუშავიათ უხელფასოდ. ასე რომ, ნაკრების თავკაცს კვლავაც სერიოზული ანაზღაურება ექნება.

— ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში „მერცხალი" — „თბილისის" მატჩის გამო ატეხილ აურზაურს რა კომენტარს გაუკეთებთ?

— ამ მატჩის შესახებ უცხოეთში ყოფნისას მაცნობეს. ასეთი ფაქტები ყველა წამყვან საფეხბურთო ქვეყანაშიც არის. მთავარია, გვჯეროდეს, რომ ეს მსაჯის უნებლიე შეცდომა იყო. სერგო კვარაცხელია ქართულ ფეხბურთში დამსახურებული პიროვნებაა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანური, უნებლიე შეცდომა იყო.

დავით თამგართელაძე

ნაშუაღღევი

დინამო: შუშაკი მარტო კლუბში იმუშავებს

მერაბ ჟორდანია ჟურნალისტებს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ივო შუშაკის დანიშვნის თაობაზე რომ ესაუბრებოდა, მან არ იცოდა: წინა დღეს, ხუთშაბათს თბილისის „დინამოს" მმართველმა დირექტორმა, დავით პეტრიაშვილმა ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას აცნობა — შუშაკი მხოლოდ „დინამოში" იმუშავებსო. ჩოლარიამ ვერ მოასწრო ახალჩამოსული ჟორდანიასთვის ამის თქმა.

ეს ამბავი ნაშუადღევს შევიტყვეთ და სანამ ჟორდანიას ხელმეორედ შევხვდებოდით, დავით პეტრიაშვილს შევეხმიანეთ...



— ივო შუშაკს თბილისის „დინამოსთან" აქვს კონტრაქტი და მხოლოდ ჩვენთან იქნება. ახლა მას კლუბში საქმე გაუორმაგდება და ნაკრებში მუშაობის დრო აღარ დარჩება.

შუშაკი „დინამოს" მწვრთნელი ხომ არის და პარალელურად კლუბის ყველა ასაკობრივი გუნდის კურატორი იქნება. გაიზარდა მისი სამუშაო გრაფიკი, დაემატა ფუნქციები, აქედან გამომდინარე, ერთდროულად ნაკრებსა და „დინამოს" ვერ გასწვდება.

კლუბის ხელმძღვანელებს ფედერაციის პრეზიდენტთან და გენერალურ მდივანთან შუშაკის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის თაობაზე ამას წინათ გვქონდა შეხვედრა. მათ სურდათ, „დინამოს" მწვრთნელს ნაკრებშიც ემუშავა. ჩვენ ვუპასუხეთ, ვიფიქრებთო. ვიფიქრეთ, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონეთ, გავითვალისწინეთ, რომ ეროვნული გუნდის ინტერესები უპირველესია, მაგრამ, სწორედ საერთო საქმიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, შუშაკი კლუბში დარჩენილიყო. მას ჩვენთან უწინდელზე ბევრად მეტი საქმე ექნება და ვერ წარმომიდგენია, ასეთი დატვირთვის ფონზე კლუბშიც და ნაკრებშიც იმუშავოს, ასეთ შემთხვევაში, მისდა უნებურად, ან ერთს ავნებს, ან — მეორეს. ერთი კარგი ინგლისური ნათქვამია — თუ 99-პროცენტიანი კონცენტრაცია გაქვს, მაშინ 100-პროცენტიანი კარახი გელის. ჯობს, ივო შუშაკმა ერთი საქმე აკეთოს კარგად, ვიდრე ორი და არც ერთი გამოუვიდეს. ადრე, ნაკრების რუსეთთან მატჩამდე, ფედერაცია ციტნოტში იყო, შუშაკსაც მხოლოდ „დინამოს" პირველი გუნდის გაწვრთნა ევალებოდა და დავთანხმდით ნაკრებში მის მუშაობას. ამჯერად კი ჩვენი კლუბის სტრატეგია შეიცვალა და ვამჯობინეთ, რომ შუშაკმა მხოლოდ „დინამოში" იმუშაოს.

რა თქმა უნდა, კლუბის პრესტიჟია, როცა მისი მწვრთნელი ნაკრებსაც წვრთნის. შუშაკი თანახმა იყო, ეროვნულ გუნდში უხელფასოდაც ემუშავა, მაგრამ იმ მიზეზის გამო, რაზეც უკვე გითხარით, შუშაკი ნაკრებს ვეღარ გასწვდება.

საღამო

ჟორდანია ქართველ მწვრთნელს ეძებს

მერაბ ჟორდანიას სახელდახელო კომენტარი მისთვის მოულოდნელი ამბის თაობაზე:

— ფეხბურთის ფედერაციას ისღა დარჩენია, ივო შუშაკს ნაკრებში გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადოს და წარმატებები უსურვოს. მადლობა „დინამოსაც", რომელმაც შუშაკს ადრე უკვე მისცა ნაკრებში მუშაობის უფლება. ახლა, ეტყობა, თბილისურ კლუბს სხვა გეგმები, სხვა პროექტები აქვს და, ალბათ, ამიტომაც მათთვის მიულებელი გამოდგა ჩვენი წინადადება. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვიმედოვნებდით, ეროვნული გუნდი ამ შესარჩევ ციკლს ივო შუშაკის ხელმძღვანელობით ჩაამთავრებდა, ზამთრამდე კი შუშაკის გარდა სხვა კანდიდატურებსაც განვიხილავდით და ახალი შესარჩევი ციკლისთვის ნაკრების თავკაცზე მშვიდად, აუჩქარებლად ფიქრის დრო გვექნებოდა. ახლა ისევ ციტნოტში ვართ, 20 აგვისტოს ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი, 6 და 10 სექტემბერს კი ალბანელებს ვეთამაშებით.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ „დინამოს" უარის შემდეგ ეროვნული გუნდი ფედერაციამ შესაძლოა, რევაზ არველაძეს ჩააბაროს. მერაბ ჟორდანიამ ამ ინფორმაციის სისწორე არ დაგვიდასტურა, თუმც გვითხრა, რომ ახალი მწვრთნელის ვინაობას მომავალ კვირაში გამოაცხადებს.

— მწვრთნელად არველაძის დანიშვნის ამბავს ვერ დავადასტურებ. „დინამოს" უარი ამ წუთას გავიგე და ჯერ ახალ მწვრთნელზე ვერაფერს გეტყვით. ცოტა მადროვეთ, ვიფიქრებთ და რამდენიმე დღეში გაიგებთ მწვრთნელის გვარს.

— ის მაინც გვითხარით, ქართველს დანიშნავთ თუ უცხოელს?

— შესარჩევი ციკლის დარჩენილი სამი თამაშისთვის, ალბათ, ქართველს, რადგანაც უცხოელის მოძებნას და მოლაპარაკებას ვეღარ მოვასწრებთ. ახალ შესარჩევ ციკლში კი ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ეყოლება. ეს ნაღდია.

„ოქტომბრამდე ნაკრების მწვრთნელი ქართველი იქნება" — გვითხრა მერაბ ჟორდანიამ.

ამ სიტყვების მერე სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ — მწვრთნელი, ალბათ, რევაზ არველაძე იქნება. აქედან გამომდინარე შესაძლო ვარიანტი: არველაძე ეროვნულ გუნდში, არველაძე „ლოკომოტივში; მისი თანაშემწე გოჩა ტყებუჩავა ახალგაზრდულ ნაკრებში.

ძოწა ინასარიძე

ვერნათამაშები

ავსტრიულმა „გრაცმა" 5:1 მოუგო ალბანურ „ტირანას" იმ სტადიონზე, რომლის მინდორზეც თბილისის „დინამომ" 0:3 წააგო ამავე „ტირანასთან". თბილისში რომ „დინამომ" 3:0 მოუგო „ტირანას", იმ თამაშს „გრაცის" ერთ-ერთი მწვრთნელიც ესწრებოდა და თქვა, „ტირანა" აღარ გვაინტერესებს, ახლა „დინამო" გვაინტერესებსო.

გასული შაბათის სვეტშიც ამის შესახებ მოგახსენებდით. მოწინავე ევროპული ფეხბურთის ფონზე ავსტრიული ფეხბურთი საკურორტო თამაშს მოგვაგონებს. მაისურებიც კი ისეთები აცვიათ, რაღაც სახალისო გუნებაზე დაგაყენებს კაცს. მათი სტილი იმგვარია, თითქოს შეძლებული ბიჭები შეთანხმდნენ, მზე რომ გადავა, ბურთი გავაგოროთო, ორიოდე ზანგიც დაიმატეს და შეუბერეს. ავსტრია დიდი საფეხბურთო ქვეყანა იყო, ჯერ კიდევ ორ მსოფლიო ომს შორის და ოცი წლის წინათაც დიდი ფეხბურთელები ჰყავდა, მაგრამ დღეს მათ ფეხბურთს ამგვარი იერი აქვს.

საინტერესო იქნებოდა, თბილისის „დინამოს" „ტირანა" გაევლო და „გრაცს" შეხვედროდა. ოცდაორი წლის წინათ ჩვენმა გუნდმა „გრაცს" სულ თამაშ-თამაშით მოუგო, მაგრამ ის დრო კარგა ხნის წასულია, ვერმომხდარი ამბის შესახებ მსჯელობა კი, ძნელი. მეორეს მხრივ, ქვეყნის ჩემპიონობა, თვით ყველაზე არასაფეხბურთო ქვეყანაშიც კი ძნელია და „გრაციცა" და „ტირანაც" თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები არიან. არ მგონია, რომ „დინამოსა" და „ტირანას" შორის დიდი სხვაობა ყოფილიყო, უბრალოდ, ტირანა უფრო დასავლეთითაა და ეს მაინც მოქმედებს ხოლმე უკლასო თამაშებში, განსაკუთრებით სოციალისტური ბანაკის ყოფილი გუნდების შეხვედრისას. ეს აჩენს ხოლმე ხასიათის და უკეთესობისკენ სწრაფვის გუნდურ განწყობას. მეტი არაფერი. მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ „გრაცი" ისეთივე ამბავს მოახდენდა ჩვენს სტადიონზე, როგორც ალბანეთში მოახდინა, მაინც მიჭირს. ასეთ ანგარიშებს, ასეთ სტადიონებზე დიდი გუნდები არტყამენ ხოლმე, ისიც, თუ ხასიათზე არიან, ავსტრიელებმა კი, აი, მოახერხეს, ისე, რომ უეფას თასის საგზურიც ჯიბეში ჩაიდეს და ჩემპიონთა ლიგისთვისაც იბრძოლებენ.

საერთოდ კი, ერთი საკითხიც არის: რატომ ახერხებენ იგივე „გრაცი", ან ვთქვათ, შვედური „იურგორდენი", ანდა შვეიცარული „არაუ" ისეთი, თუნდაც აფრიკელი ფეხბურთელების ყიდვას, რომლებიც სჭირდებათ? რატომ ვერ ახერხებს ამას მოწინავე ქართული გუნდი, ბეიკერი უნდა ჩამოვიდეს და იმან უთხრას?

სხვა მხრივ კი, მაინც საინტერესოა, რა იქნებოდა, „გრაცამდე" რომ მიგვეღწია? ტირანელთა დღეში ჩავცვივდებოდით? თუ გასვლითი მატჩი ალბანეთში ერთი მწარე ჩავარდნა იყო, რომელიც კიდევ ერთ, თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ მაინც ევროპულ სეზონად დაჯდა?

„დინამო" — „გრაცი", არ შედგა.

არ შედგა და კარგია ეს თუ ცუდი, ვეღარ იმკითხავებ. და მაინც, ჯობდა გვეთამაშა, მეტს გავიგებდით, ვნახავდით და ეგებ რომელიმე კარი მაინც შეგვეღო, უეფას თასისა, მაგალითად. მიუხედავად ყველაფრისა, ფეხბურთი ხომ დემოკრატიული თამაშია.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚ-ᲫᲣᲜᲫᲣᲚᲘᲗ

ᲬᲘᲜᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ

ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნული ნაკრები კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს.

სფფ-მ კუნძულელთაგან სანაკრებო მიწვევა 19 ივნისს მიიღო, იფიქრეთ და პასუხი პირველ აგვისტომდე გვაცნობეთო, იტყობინებოდნენ კვიპროსიდან. ფედერაციაშიც მოიფიქრეს და გადაწყვიტეს — 15-დან 22 თებერვლამდე საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ტურნირის მონაწილე რვა გუნდს შორის იქნება.

კვიპროსული ტურნირი ახალი ფორმატით გაიმართება. მონაწილე რვა გუნდი ორ ქვეჯგუფადაა გაყოფილი. ქართველები სომხებთან, ბელარუსებთან და მასპინძლებთან ბრძოლაში შეეცდებიან ფინალში გასვლას. მეორე ჯგუფი კი უნგრეთმა, ყაზახეთმა, ლიტვამ და რუმინეთმა შეადგინეს.

წინდახედული მასპინძლების წყალობით კუნძულზე ჩასულ ნაკრებებს ვარჯიშის საშუალებაც ეჭნებათ. 15-დან 18 თებერვლამდე საწვრთნელი პროცესი გაგრძელდება, მერე კი თამაშის ჯერი დადგება. ქართველთა კვიპროსზე წასვლა გადაწყვეტილია, ის კი კვლავაც უცნობია, თუ ვინ გაწვრთნის იმ დროს „შინდისფერ ლეგიონს“.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲫᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ



ᲒᲐᲖᲗᲐᲠᲘ ᲯᲘᲝᲠᲯᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲞᲠᲝᲤᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ: ᲠᲔᲕᲐᲖ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲕᲐᲠᲐ! ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲯᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲔᲡ!

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲩᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲐᲠᲔᲑᲑᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲔᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲘᲙᲘᲗᲮᲔᲡ

ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ არც დაწყებულა ეროვნული ჩემპიონატი და მეტად უცნაური ამბები ხდება ქართულ ფეხბურთში. პირველი ტურის ოზურგეთული სკანდალი გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომით დასრულდა.

დისციპლინარებს დიდი დავა-კამათი ჰქონდათ, ბოლოს და ბოლოს, ვინმემ გაგვაგებინოს, ვინ არის ჩვენი უფროსი, სფფ თუ პროფესიული საფეხბურთო ლიგა. იმსჯელეს დისციპლინარებმა და დაასკვნეს, ჩვენი უფროსი არავინაც არ არის, დამოუკიდებლები ვართო. ჩვენ კი მაინც უნდა განვმარტოთ, სადისციპლინო კომიტეტი ამიერიდან პროფლიგის დაქვემდებარებაში იქნება.

გუშინდელი დღის უცნაურობამ სასეირო სიტუაცია შექმნა. დისციპლინართა სხდომაზე კომიტეტის წევრის, ზურაბ პეტრიაშვილის დისკვალიფიკაციის ამბავი გამოცხადდა. პეტრიაშვილი ყბადაღებული „მერცხალი“ — „თბილისის“ მატჩის ინსპექტორი იყო და იმ ხუთიანისთვის მისცეს ერთთვიანი დისკვალიფიკაცია, მოგვიანებით გამტყუნებულ მსაჯებს რომ დაუწერა. მანამდე კი, ცნობილი ამბავია, ერთთვიანი უქმობით დასაჯეს მატჩის არბიტრი სერგო კვარაცხელიაც, თანამსაჯ ზურაბ ჯვარიძეს კი ორი ტურით აუკრძალეს ხელობა.

სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი შეკრების ძირითადი მიზანი კი „მერცხალი“ — „თბილისის“ მატჩში ორი ყვითელი ბარათით გაძევებული გოგიტა გოგუასთვის დისკვალიფიკაციის მოხსნა იყო. დისციპლინარებს გოგუას შეწყალების მყარი არგუმენტი ჰქონდათ. რადგან კვარაცხელიას შეცდომები დადასტურდა და მან პირველ შემთხვევაში უსაფუძვლოდ გააფრთხილა ფეხბურთელი, გასარჩევი არაფერია, გოგუა არ უნდა დაისაჯოსო, თქვა თავმჯდომარე გოგიაშვილმა და „თბილისს“ საჯარიმო თანხაც მოუხსნა. ამრიგად, გოგიტა გოგუას ღღეს, მეორე ტურის მატჩში „სპარტაკის“ წინააღმდეგ თამაშის საშუალება ექნება.

„ლოკომოტივ“ — „სიონის“ მატჩში არასპორტულად მოიქცა რკინიგზელი როინ ონიანი, საქმის კეთების ნაცვლად მან არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც ორი ტურით დაისვენებს. ონიანს დისციპლინარებმა 100-ლარიანი ჯარიმაც გამოუწერეს.

ბოლოს დისციპლინართა ფსიქოლოგიურ დისკომფორტზეც ვთქვათ. თითოეული სხდომისას კომიტეტის ყველა წევრი თავმჯდომარის ჩათვლით ადგილზე ეცნობა ინფორმაციას ამა თუ იმ დარღვევის შესახებ და ამ ხალხს რამდენიმე წუთში უწევს მომხდარის გაანალიზება და გადაწყვეტილების მიღება. ჰოდა, კარგი იქნება თუკი პროფესიული საფეხბურთო ლიგის მესვეურები იმაზეც იზრუნებენ, რომ დისციპლინარებს სხდომაზე გასატანი საკითხები წინასწარ, თუნდაც ერთი დღით ადრე დაურიგდეთ, რათა მეტი საშუალება ჰქონდეთ ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. ყოველივე ტექნიკურად არცთუ რთული მოსაგვარებელია.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲫᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲯ-Ს ᲝᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲐᲚᲘ: ᲠᲝᲘᲜ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲖᲣᲠᲐᲑ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

გუშინ ახალშექმნილი პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელებს უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები ესტუმრნენ. საქმიანმა შეხვედრამ საათზე მეტს გასტანა, მერე კი პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა საპრესკონფერენციოდაც მოიცალა

ᲞᲠᲝᲤᲚᲘᲒᲐ ᲝᲠ-ᲡᲐᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ 300 000 ᲛᲝᲐᲥᲣᲩᲔᲑᲡ

... დღევანდელ შეხვედრაზე კლუბების წარმომადგენლებს ჩვენი საკადრო აპარატი და გენმდივანი რევაზ ლორთქიფანიძე გავაცანით. შემდეგ რამდენიმე საკითხზე ვიმსჯელეთ. ჩვენს მიერ შეთავაზებულ წინადადებებს კლუბები 2-3 დღეში განიხილავენ. ამგვარად ვამზადებთ პროფლიგის მემორანდუმს, რომელსაც კლუბები მოაწერენ ხელს.

... ვისაუბრეთ პროფლიგის სპონსორების შესახებაც, რომელთა ხელმოწერაც უნდა იყოს მემორანდუმში. გარდა ამისა, ჩამოყალიბდება ხუთკაციანი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც უშუალოდ ჩაერთვება პროფლიგაში მიმდინარე პროცესებში. ვიმსჯელეთ მსაჯების საკითხზეც.

... მოკლედ, ჩვენი მომდევნო შეხვედრისთვის მემორანდუმს ხელი მოეწერება და ძალაში შევა.

... კლუბებს უფლება ექნებათ, დამოუკიდებლად გაფორმონ საქმიანი ხელშეკრულება სხვადასხვა კომპანიებთან, მაგრამ ეს პროფლიგასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

... რაც შეეხება კლუბების ლიცენზირებას, სათანადო მოთხოვნებს ამ დროისთვის სამი ქართული კლუბი თუ აკმაყოფილებს. ჩვენ და ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად ვიმუშავებთ ამ საკითხზე. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის კი ლიცენზიები ჯერ სავალდებულო არ არის.

... ამ შეხვედრაზე იმაზეც ვისაუბრეთ, თუ როგორ განაწილდება ჩვენი პარტნიორებისგან მიღებული თანხა კლუბებზე. სხვადასხვა ქვეყნის ლიგებში თანხა სხვადასხვა პრინციპით ნაწილდება. ჩვენ კი კლუბებს ასეთი რამ შევთავაზეთ — ჩემპიონი შემოსული თანხის 25 პროცენტს მიიღებს, მეორეადგილოსანი თექვსმეტს, მესამეადგილოსანი თორმეტს და ასე შემდეგ. არის სხვა ვარიანტებიც და ჩვენ ყველა კლუბს მოვუსმენთ.

... სავარაუდოდ, შემოსული თანხა 300 000 ლარი უნდა იყოს. როგორც იცით, ჩვენი გენსპონსორია „კოკა-კოლა“, მთავარი სპონსორი „საქართველოს ბანკი“, პარტნიორები არიან „ნიკორა“, „ჯეოსელი“, „სტიმოროლი“, „სნიკერსი“.

... თავყრილობას სადაზღვევო კომპანია BCI-იც ესწრებოდა. ეს ფირმა კლუბებს უფასო დაზღვევას სთავაზობს — თუ ფეხბურთელი პროფესიულ ტრავმას მიიღებს, BCI ოპერაციის ღირებულების 70 პროცენტს გადაიხდის. პროფლიგასთან თანამშრომლობა სადაზღვევო ფირმა „ჰელიოსსაც“ სურს, ოღონდ ასეთ შემთხვევაში გარკვეული თანხის გადახდა იქნება საჭირო. ეს ვარიანტები კლუბებმა უნდა განიხილონ.

... ეროვნული ჩემპიონატის პირდაპირი ტელეტრანსლაციები მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ ანუ მესამე ტურიდან მოეწყობა, რომელიც 9 აგვისტოდან დაიწყება. 28 მატჩს „პირველი არხი“ გადასცემს, 25-ს კი „იმედი“, თუმც ჩვენ მხოლოდ ამით არ შემოვიფარგლებით.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲭᲘᲚᲐᲫᲔ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

35 000 ᲜᲐᲮᲐᲢᲘ, ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲔᲑᲖᲔ, ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ, ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲮᲐᲢᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲖᲔ

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

ᲡᲐᲠᲝ-ᲐᲠᲢᲞᲠᲘᲜᲢᲘ

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 91 ᲢᲔᲚ: 53-76-82 899 56-18-49

გაანწყობის თეორია
დინამო ლანსის პვანსია
ტორპედო ტირანას გამაყუჩებელი

ბადრი კვირკელიას ფოტო

ალეკო გოგობერიშვილის და ილია კანდელაკის „დინამო“ მიხეილ მახვილაძის „ტორპედოს“ ემუქრება

დღეს „დინამო“ – „ტორპედოა“. ქართული საზომებით ყველაზე საინტერესო მატჩი. საქართველოს ორი ჩემპიონი ერთმანეთის პირისპირ.

თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ ბოლო დროს ყველაფერს იგებენ საქართველოში. ისინი მშვენივრად იცნობენ ერთმანეთს, ბევრჯერაც გაუმწარებიათ ერთმანეთი. შეიძლება ზოგჯერ მაღალი დონის თამაში ვერ უჩვენებიათ, მაგრამ მაინც, ეს „დინამო“ – „ტორპედოა“. დაძაბული, დახლართული და ალბათ მაინც საინტერესო. ასე რომ, შეიარეთ „ეროვნულზე“ და ნახეთ დღევანდელი ქართული ფეხბურთის სახე...

მეტოქეები ამ მატჩისთვის სერიოზულად ემზადებიან. „დინამომ“ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქუთათურებს გაძლიერებული დახვედროდა. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის წინ თბილისელებს ოთარ ხიზანეიშვილის განაცხადში შეყვანა გაურთულდათ, თუმც გუშინ „დინამომ“ თითქმის მოაგვარა „ხიზანას“ საკითხი. წუხელ თბილისელები სულმოუთქმელად ელოდნენ ამ ამბის საბოლოოდ გადაწყვეტას და არ გაგიკვირდეთ, დღეს ოთარ ხიზანეიშვილმა ლურჯ-თეთრი მაისურა რომ მოირგოს. გამორიცხული არაა, „ტორპედოსთან“ პირველი ოფიციალური დინამოური მატჩი ჩაატაროს ბრაზილიელმა ტესერმაც. „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, კლუბმა ყველა საჭირო საბუთი გააგზავნა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციაში და თუ იქიდან პასუხმაც არ დაიგვიანა, ტესერს თამაშის უფლება ექნება. სამაგიეროდ, დედაქალაქელებს მაინც სერიოზული დანაკლისი აქვთ — „ტირანასთან“ სამარცხვინო მატჩში დაშავებული გიორგი ანჩაბაძე ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდა.

„ტორპედო“ თბილისს გუშინ ესტუმრა. ქუთათურები გიორგი ყოფიანით გაძლიერებულნი ეწვივნენ დედაქალაქს. სოსო ფრუიძის ერთადერთი საფიქრალი გაგა ჩხეტიანის ტრავმაა. გადაწყვეტილი ამბავია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი დღეს ვერ ითამაშებს. დანარჩენები ჯანზე არიან და „დინამოსთან“ სათამაშოდ კბილებს ილესავენ.

ამხელა შესავლის მერე კი უმჯობესი იქნება, „დინამოს“ და „ტორპედოს“ თავკაცებს, ივო შუშაკს და სოსო ფრუიძეს მოვუსმინოთ:

ივო შუშაკი: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში „დინამო“ — „ტორპედო“ ცენტრალური თამაშია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უკვე დერბია. ბოლო წლებია, ეს გუნდები პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ და, ცხადია, მათ შორის შეხვედრა ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს. ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლო ხანს ამ წყვილში უპირატესობას „ტორპედო“ ფლობს. ეს ფაქტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ ყველაფერს ვიღონებთ, რომ მეტოქე დავამარცხოთ. ალბანური შოკიდანაც თანდათან გამოვდივართ, ბიჭები გონს მოდიან და ვეცდებით, „ტორპედოსთან“ საუკეთესოდ ვითამაშოთ.

სოსო ფრუიძე: „დინამოსთან“ სათამაშოდ ჩვეულებრივად მოვემზადეთ. რაიმე განსაკუთრებული რეჟიმი არ გვქონია. ამ თამაშს ისიც ამძაფრებს, რომ „დინამოს“ ახლა ჩვენზე მეტი მოტივაცია აქვს. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ რაიმეს დავთმობთ. ძნელია, როცა ბიჭები „ლანსთან“ უეფას თასის მატჩზე ფიქრობენ და ამ დროს წინ „დინამოსთან“ თამაში გველის, მაგრამ ახლა „ლანსზე“ ფიქრს სჯობს, დღევანდელობაზე ვიფიქროთ. გულზე ხელების დაკრეფას არ ვაპირებთ. ვეცდებით, მეტოქეს ბევრი პრობლემა შევუქმნათ. გამორიცხული არაა, გიორგი ყოფიანიც ვათამაშოთ. შესაძლოა, ის ძირითად შემადგენლობაში არ იყოს, მაგრამ რამდენიმე წუთს ალბათ მაინც მივცემ.

დღესვე ბათუმში ზღვისპირული დერბია. იყო დრო, „ბათუმსა“ და „კოლხეთს“ ერთმანეთთან ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ გამოცხადებული. ამ გუნდების მატჩი მუდამ დაძაბული და ამოუცნობი იყო, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღესდღეობით არც „ბათუმია“ ქართული ფეხბურთის ლიდერი და მით უმეტეს, არც „კოლხეთი“. მეთხუთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს ორივე გუნდი განახლებული და მწვრთნელშეცვლილი შეხვდა. ვალერიან ჩხარტიშვილის ბიჭები პირველ ტურში ქუთაისში 0:2 დამარცხდნენ და დღესაც უქულოდ დარჩენას ალბათ, ვერ შეეგუებიან. მთლად ხალისიანი განწყობა არც გია ტყეებუჩავას შეგირდებს უნდა ჰქონდეთ. გორის „დილასთან“ ნათამაშები 0:0 მათთვის მაინცდამაინც დიდი იმედის მომცემი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, კოლხები თამაშის მაღალი ხარისხითაც ვერ დაიკვეხნიან პირველ ტურში.

თავის მხრივ „დილას“ ურთულესი ჯახი ელის „ვიტ ჯორჯიასთან“. მოლონიერებული გორელები თბილისელებისთვის არაფრის დათმობას არ აპირებენ. სამაგიეროდ, ვეტერინარებს გიორგი ადამია გამოუჯანმრთელდათ და დიდი შანსია, ხვალ ათამაშონ კიდეც. მართალია, ადამია ჯერაც არაა სასურველ ფორმაში, მაგრამ ის „ვიტ ჯორჯიასთვის“ მაინც დიდი ძალაა. დედაქალაქელებს „დილასთან“ ალბათ თენგიზ კობიაშვილიც დაეხმარება, რომელმაც მიზეზთა გამო პირველი ტური გამოტოვა.

ჩემპიონატის ხმაურიანი დებიუტანტი, ოზურგეთის „მერცხალი“ ბოლნისს ესტუმრება. გურულებმა სეზონი გამარჯვებით დაიწყეს და უხასიათობას არ უჩივიან. მართალია, „თბილისთან“ 2:1 მოგებულ მატჩს გვარიანი სკანდალი მოჰყვა, მაგრამ ეს „მერცხალის“ წარმატებას ოდნავადაც არ აკნინებს. ამის მიუხედავად, „მერცხალი“ ალბათ „სიონთან“ მატჩზე დიდ იმედებს ვერ დაამყარებს. საევროპოდ მომართული ბოლნისელები ამ წყვილში ფავორიტები არიან და სამართლიანადაც. „სიონი“ რომ შარშანდელზე ნაკლები ძალის გუნდი არ იქნება, ამ კვირის დასაწყისში, „ლოკომოტივთან“ მატჩშიც გამოჩნდა. თან „სიონმა“ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიმატა — ყოფილი რკინიგზელი მცველი აქვსენტი გილაური.



დღეს შესაძლოა ბრაზილიელი ტესერის დებიუტი შედგეს

რევაზ არველაძის „ლოკომოტივი“ კი მცხეთას ეწვევა და ალბათ პირველ სამ ქულასაც მიითვლის. რკინიგზელებმა პირველ ტურში შექმნილი პრობლემებიც ნაწილობრივ მოაგვარეს — საჩემპიონატო განაცხადში ზაზა ზამთარაძე, გიორგი მიქაძე და გიორგი მანწკავა შეიყვანეს. დინამოელი წყვილ მიქაძე-მანწკავა გუშინ სულაც თავად მივიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფორმალური მხარეების მოსაგვარებლად. ასე რომ, ორი გიორგი მე-15 ეროვნულში „ლოკომოტივში“ იჯარის წესით ითამაშებს.

დანაკლისი რკინიგზელებს მაინც აქვთ — წინა ტურში, ბოლნისის „სიონთან“ გაძევებული როინ ონიანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება გუნდს, თუმც, ჩვენი აზრით, ეს „მცხეთის“ შანსებს ოდნავადაც ვერ ზრდის.

დაბოლოს, „სპარტაკი“ — „თბილისი“. მასპინძლებს „დინამოსთან“ 0:6 მარცხის შემდეგ რეაბილიტაცია სურთ, „თბილისს“ კი შანსი ეძლევა, საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილოს. ორივე გუნდი უგუნებოდ ხვდება მატჩს: „სპარტაკმა“ „დინამოსთან“ ულაპარაკოდ წააგო, „თბილისმა“ პირიქით — ხმაურიანი მარცხი „გამოჭედა“ ოზურგეთში.

ერთი სიტყვით, მეორე ტურმა რაღაც კონტურები უნდა მოხაზოს. ვინ რისი მაქნისია, მოედანზე გამოჩნდება და არა მის გარეთ...

ძახა შალამბერიძე

საქართველოს ჩემპიონატი 15 ეროვნული ლიგა 2 ტური
პირველი ეტაპი

თბილისი. 2 აგვისტო. 18 საათი. ერეკლეშვილი

დინამო — ტორპედო

მსაჯები: ვ. მალაღურაძე, ვ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სუფთის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: შ. ხინშაგაშვილი

თბილისი. 2 აგვისტო. 18 საათი. ლოკომოტივი

სპარტაკი — თბილისი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ვ. მაისურაძე (თბილისი); სუფთის ინსპექტორი: ვ. ბარქაია; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

ბოლნისი. 2 აგვისტო. 18 საათი. თეიმურ სტეფანია

სიონი — მერცხალი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); სუფთის ინსპექტორი: ვ. სილაგავა; დირექტორი: ნ. კაკულია

ბათუმი. 2 აგვისტო. 18 საათი. დინამო

ბათუმი — კოლხეთი

მსაჯები: დ. სანაია; ა. საშარაძე (ორივე სოხუმი), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სუფთის ინსპექტორი: ა. მილენკო; დირექტორი: გ. კეტაშვილი

მცხეთა. 3 აგვისტო. 18 საათი. არმაზი

მცხეთა — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (ორივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სუფთის ინსპექტორი: ა. დურსუნიშვილი; დირექტორი: ვ. ანჯაფარიძე
დისკვალიფიცირებული: რ. ონიანი (ლოკომოტივი)

გორი. 3 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური

დილა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შალაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სუფთის ინსპექტორი: ვ. ქელეძე; დირექტორი: გ. ძაბუკაშვილი

№	გუნდები	სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ვიტ ჯორჯია	1	1	0	0	7:0	7	3	1	1	0	0	7:0	7	3	0	0	0	0	0:0	0	0
2	დინამო	1	1	0	0	6:0	6	3	1	1	0	0	6:0	6	3	0	0	0	0	0:0	0	0
3	ტორპედო	1	1	0	0	2:0	2	3	1	1	0	0	2:0	2	3	0	0	0	0	0:0	0	0
4	მერცხალი	1	1	0	0	2:1	1	3	1	1	0	0	2:1	1	3	0	0	0	0	0:0	0	0
5	სიონი	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	1:1	0	1
6	ლოკომოტივი	1	0	1	0	1:1	0	1	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
7	დილა	1	0	1	0	0:0	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	0:0	0	1
8	კოლხეთი	1	0	1	0	0:0	0	1	1	0	1	0	0:0	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
9	თბილისი	1	0	0	1	1:2	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	1:2	-1	0
10	ბათუმი	1	0	0	1	0:2	-2	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:2	-2	0
11	სპარტაკი	1	0	0	1	0:6	-6	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:6	-6	0
12	მცხეთა	1	0	0	1	0:7	-7	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:7	-7	0

უეფა თავის საქმიანობას ყოველწლიურად ახალ-ახალი პროექტებით ამდიდრებს. გამონაკლისი არც 2002 წელი იყო. შარშან, 8 ნოემბერს, კოპენჰაგენში უეფას ჩინოსნები ანტირასისტული ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. გაფორმდა ხელშეკრულება, დამუშავდა ევროპულ ფეხბურთში წამოსაწყები ანტირასისტული კამპანიის 10 ძირითადი პუნქტი, მერე კი უეფამ თავის წევრ ორმოცდათორმეტივე ქვეყნის ფედერაციას დაავალა ამ პროექტის რეალიზება და საამსაქმოდ ორი მილიონ 600 ათასი შვეიცარიული ფრანკიც გამოყო. ბუნებრივია, თავისი წილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც ერგო და გუშინ სფფ-ის ჩინოსნებმა ჟურნალისტები იწვიეს ანტირასისტული პროექტის პრეზენტაციაზე

კიდევ კარგი რასიზმი აშკარად მოვიკოჭლებთ

საქართველოში ამ კამპანიას სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე გივი ჯიშიაშვილი უხელმძღვანელებს. გუშინდელ პრეზენტაციაზე მან დაწვრილებით ისაუბრა რასიზმზე, როგორც დიდ ბოროტებაზე.

საქართველოში და ქართულ ფეხბურთში ნაკლებ პრობლემატურია რასიზმის თემა, თუმც სფფ ენერგიულად ჩაება უეფას ახალ პროექტში და გუშინდელ პრეზენტაციაზე ორგანიზატორებმა ქართულ-საფეხბურთო ანტირასისტული დეციზიც გაგვიმხილეს: რასიზმს არა საქართველოს საფეხბურთო მოედნებზე!

ახალი პროექტის თანახმად, გივი ჯიშიაშვილი საგანგებო ლექციებს წაიკითხავს უმაღლესი ლიგის გუნდებში. ამიერიდან კი ქართულ სარბიელებს ანტირასისტული პლაკატებიც დაამშვენებს. დამზადდება სპეციალური მაისურები. მატჩის დაწყებამდე ფეხბურთელები ამ ფორმით გავლენ მოედანზე. დამზადდება აგრეთვე კეპები ანტირასისტული წარწერებით, სუვენირები, სამკერდე ნიშნები, დაიბეჭდება ბროშურები. სეზონის ბოლოს კი რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი საფეხბურთო მოხელეები საზეიმო გალა-შეხვედრას მოაწყობენ მწვრთნელ-ფეხბურთელებთან და ჟურნალისტებთან. იგეგმება ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ლეგიონერთა და ადგილობრივთა მატჩი. ამ მხრივ ჯერჯერობით სამკაცა ფეხბურთის პერსპექტივა გვაქვს — ქართულ გუნდებში დღესდღეობით უცხოტომელთაგან კარლოსი, ტესერი და პოროშინი თამაშობენ.

პაატა ძმანტალიანი

ᲒᲐᲓᲐᲠᲗ ᲯᲔᲠᲜᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

სფფ რასიზმის წინააღმდეგ

კარლოსის რასიზმი: რუსიზმი

ვერ გეტყვით, საქართველოში დღესდღეობით რამდენი ფერადკანიანი სტუმარი გვყავს, თუმც ის კი ზუსტად ვიცით, ბურთს ერთი, თბილისის „დინამოს“ ბრაზილიელი კარლოსი რომ აგორებს. ის საქართველოში უკვე წელიწადნახევარია, თამაშობს და ქომაგთაგან პატივისცემითაც სარგებლობს. ჩვენთან მას რასისტული პრობლემები არ აწუხებს, აი, რუსეთში კი, სადაც კარლოსი „დინამოში“ გადასვლამდე იყო...

— საქართველოში თავს მშვიდად ვგრძნობ, პრობლემა არ მაქვს. კანის ფერის გამო შეურაცხყოფილი არ ვარ და ვიმედოვნებ, ჩემი აქ ყოფნის პერიოდშიც ასევე გაგრძელდება — გვითხრა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა — პირიქით, ვფიქრობ, ქართველ ქომაგებში პოპულარული ვარ, მცნობენ და პატივისცემით მეპყრობიან. ეს ჩემთვის, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. რუსეთში ასე არ იყო. იქ ქუჩაში სიარულსაც კი ვერიდებოდი. რუსეთში ბევრია ფაშისტი.

— **გჩაგრავდნენ?**

— მჩაგრავდნენ. მათი გამონათქვამები ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო, შე შავო, შე ასეთო, ისეთოო, მლანძღავდნენ. ამიტომაც ქუჩაში ცხვირის გაყოფაც არ მსურდა, თავისუფალ დროს შინ ვატარებდი.

— **გუნდშიც ასე გექცეოდნენ? მოედანზე მეტოქეც გერჩოდა?**

— არა, გუნდში და მოედანზე ყველაფერი კარგად იყო, თავი დამცირებულად არ მიგრძვნია. პრობლემები ქუჩაში მქონდა.

— **მაინც რას გეუბნებოდნენ?**

— საგაზეთოდ უხერხულია ამის თქმა. თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც მსგავსი სიტყვები არც კი მსმენია.

— **ესე იგი, ხინკალს, ხაჭაპურს მშვიდად მიირთმევ...**

— მწვადსაც და ქაბაბსაც. სასიამოვნოა ქართველებთან ურთიერთობა.

— **ქართველ ქალებშიც პოპულარული ხარ?**

— ისე რა, ქალებთან კონტაქტი არც მაქვს. ვფრთხილობ, ცოლშვილიანი კაცი ვარ, სპორტსმენი, თანაც დასვენება მჭირდება, ენერგიის აღდგენა.

კოგა ინასარიძე





დრაკონი vs ცხენი
ესეც ჰუანგ მას ნახმარი შამპუნი



მთელი ჩინეთი ბექემივით ივარცხნის

დეივიდ ბექემის დებიუტი „რეალის“ შემადგენლობაში ჩინურ ტელემოვლენათა ცენტრშია — დღეს, პეკინის მუშათა სტადიონზე, მადრიდელთა და ჩინეთის A ლიგის ოთხი გუნდის ნაკრების თამაშს ტრიბუნიდან 50 ათასი, ტელეეკრანიდან კი მილიარდი ადამიანი ნახავს. შეხვედრა პეკინის დროით 20 საათზე, ანუ ჩვენი დროით 16 საათზე დაიწყება და იქნება პირველი იმ ოთხიდან, რომელთაც ესპანეთის „სამეფო კლუბი“ შორეულ აღმოსავლეთში გამართავს.

მაშ ასე, 1 ივლისის ანუ იმ დღის შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრების კაპიტანი ზინედინ ზიდანის, რაულის, ლუიშ ფიგუსა და რონალდოს თანაგუნდელი გახდა, ამ ვარსკვლავთკრებულის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, თვალით კი მისი თამაში არავის უნახავს — ამის საშუალება მსოფლიოს დღეს ეძლევა. აქვე დავძინოთ, რომ ეს შეხვედრა „რეალის“ ახალი მწვრთნელის, კარლუშ კეირუშისთვისაც სადებიუტო იქნება.

მატჩს ჩინურმა პრესამ მხატვრული სახელი, „დრაკონისა და ცხენის ომი“ უწოდა. ახლავე აგიხსნით რაშია საქმე — „რეალი“ ჩინურად თურმე „ჰუანგ მა“ ყოფილა, „ჰუანგ მა“ კი ქართულად და ევროპულ ენებზე სამეფო ცხენს ნიშნავს. ჰოდა, გამოვიდა კიდეც, ცხენი დრაკონის (მათი გუნდის) წინააღმდეგ.

დრაკონთა შორის დღეს მოედანზე ვიხილავთ იანგ ჩენს, რომელიც რამდენიმე წელიწადს ფრანკფურტის „აინტრახტსა“ და „ზანკტ პაულიში“, ერთი სიტყვით გერმანულ ბუნდესლიგაში თამაშობდა, ლი ვეიფენგს, რომელიც გასულ წელიწადს, ცოტა ხნით „ევერტონში“ ბურთაობდა და ვაო ფენგს, რომელიც ფეხბურთიდან წავიდა, მაგრამ „რეალთან“ მაინც ითამაშებს.

მაგრამ გარშემო ბექემომანიაა. ჩინურმა პრესამ შენიშნა, რომ პეკინის სამხრეთ ნაწილში ქომაგები საგანგებოდ მიდიოდნენ სადალაქო „შუ კაიში“ და ორცხენისკუდა ვარცხნილობის დაყენებას მოითხოვდნენ. ჩინურად ამ ვარცხნილობას „პატარა ბეის თმა“ უწოდეს.

სტილისტ-ანალიტიკოსი შუ კაი: „ბექემისებური ვარცხნილობა შარშანაც ძალიან ბევრს უნდოდა, წლეულს კი, როდესაც ის „რეალთან“ ერთად ჩამოვიდა, ამის მოსურნეთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა“.

პეკინში ჩასულ მადრიდელებს ქომაგთა ჯგუფები კუდში სდევენ, მაგალითად, მათ სასტუმროს შესასვლელში 500 ქომაგი ელოდებოდათ, ხოლო თავად სასტუმრომ ზეიმი მოიწყო — მას მერე, რაც „რეალი“ იქაურობას დასტოვებს, სასტუმროს პაბლიკ რილეიშენის უფროსის, ქალბატონი ფანის განცხადებით, აუქციონზე გაიყიდება ყველაფერი, შამპუნის ბოთლებიც კი, (ოღონდ გვარმიწერილი) რაც ვარსკვლავებმა თავიანთ 320 დოლარიანი კომპლექტიდან მოიხმარეს.

პაპუნა კედია

აფრიკელი მამალი მბულელო მაბიზელა

ლონდონის „ტოტენჰემმა“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ტურნე დაასრულა. გუნდი სამშობლოში დაბრუნდა და პრემიერლიგისთვის ემზადება.

ცუდი ამბავი გლენ ჰოდლისთვის: კრისტიან ციგე ხელმეორედ საოპერაციოა. მწვრთნელს ფეხბურთელის დამატება სჭირდება. საიდან? ტყუილად ხომ არ მოიარეს სამხრეთ აფრიკა? „მამლებმა“ იქაურები დაზვერეს და ნაკრების წევრი, 22 წლის მცველი მბულელო მაბიზელა მოეწონათ.

მაბიზელა „ორლანდო პირატსის“ მოთამაშეა და გუშინ ლონდონში ჩავიდა. ფეხბურთელი გუნდს თუ მოერგო, ცხადია, დატოვებენ. ეს ამბავი კი გლენ ჰოდლის გადასაწყვეტია. სანაკრებო გამოცდილება მცველს არ აკლია, მას „ბაფანა ბაფანას“ მაისურა 12-ჯერ მოურგია.

ეს რაც შეეხება მატებას სამამლეთში. ახლა კი წამსვლელზეც ვთქვათ. შტეფან ფროინდს „ტოტენჰემთან“ კონტრაქტი დაუსრულდა. 33 წლის გერმანელი ნახევარმცველი ინგლისიდან სამშობლოში დაბრუნდა და „კაიზერსლაუტერნს“ ხელში მუქთად ჩაუვარდა. ფროინდი 1996 წლის ევროპის ჩემპიონია, დორტმუნდის „ბორუსიაში“ კი 1997-ში ჩემპიონთა თასი მოუგია.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი. I დივიზიონი. 2003-2004



პოლ ლე გუენი

ლიონი

პოლ ლე გუენმა ჟაკ სანტინის შექმნილი გუნდი წინა სეზონში შეინარჩუნა და „ლიონი" მიჯრით მეორედ ჩემპიონი გახადა. ამ ზაფხულს ბრაზილიელი სონი ანდერსონი ესპანურ „ვილიარეალში" წავიდა. ანდერსონი ლიონელთა ჯილა და კაპიტანი იყო. შარშან იგი დაშავდა და ნახევარ სეზონზე მეტი გაუცდა. როცა შემადგენლობაში კვლავ დაბრუნდა, მისი ადგილი უკვე დაკავებული იყო. 31 წლის ბრაზილიელმა გაცლა ამჯობინა და პრიმერადივიზიონს მიაშურა.

პოლ ლე გუენმა გუნდის გაჯეელება გადაწყვიტა: „მე მსურს, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს დავეყრდნო, რომლებიც ყოველმხრივ მომზადებულნი და პერსპექტიულები არიან, ეს ჩვენი სტრატეგიის ნაწილია და სწორედ ამის გაკეთებას ვცდილობ".

ჩემპიონებმა სეზონისწინა სამზადისისას სამი ფეხბურთელი დაიმატეს — 20 წლის ნახევარმცველი მიქაელ ესიენი „ბასტიადან", 23 წლის მცველი ანტონი სევეილერი „რენიდან", რომელიც ერთი წლით „ვალენსიაში" იყო განათხოვრებული და „გენგამის" განელი მეგოლე, 23 წლის ფლორენ მალუდა.

შარშანდელი „ლიონი" სეზონის დასაწყისში არასტაბილურად თამაშობდა და გუნდმა პიკს გაზაფხულზე მიაღწია. სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა. პოლ ლე გუენმა ნამდვილად იცის თავის საქმე და ეს ერთი კვირის წინ გამართულ სუპერთასის მატჩშიც გამოჩნდა, როცა „ლიონმა" „ოსერს" 2:1 სძლია.

მონაკო

მეფის ნაზირ-ვეზირები მაისის ბოლოს ქვედა ლიგაში გაისტუმრეს. „მონაკოს" ბლომად ვალები დაუგროვდა და ფრანგული ლიგის დისციპლინარებმა უფლისწული კლუბი ვალების გადახდამდე დასაჯეს. მეფის ხაზინა საჭირო თანხას თუ ვერ გამოქექავდა, ჩემპიონთა ლიგის წევრი სეზონს მეორე დივიზიონში შეხვდებოდა.

მონაკოს ტახტის პატრონმა საქმოსნები შეაწუხა და დათქმულ ვადაში ვალი ჩაიტანა. ოღონდ, ამ ვალების გადახდას „მონაკოს" პრეზიდენტი ჟან ლუი კამპორა შეეწირა, რომელიც კლუბს დაახლოებით 25 წლის მანძილზე პრეზიდენტობდა. ჰოდა ისე იყო გაზულუქებული, რომ მწვრთნელის საქმეებშიც ერეოდა და ფეხბურთელების შერჩევა-შეძენასაც თვითონ კისრულობდა.

პრინცმა კამპორას სავარძელი ჩამოართვა და თავის ბუდეში გამოზრდილ კაცს ჩააბარა. დიდიე დეშანსა და ჟან ლუი კამპორას შორის შავი კატები დარბოდნენ და პრეზიდენტის წასვლის შემდეგ დეშანის მომავალს საფრთხე აღარ ემუქრება.

მონაკოელების ფინანსური მდგომარეობის გადამკიდე, ახალი ფეხბურთელების შეძენაზე ლაპარაკი არც ყოფილა. პირიქით, შაბანი ნონდა „ლიონისთვის" უნდა მიეყიდათ, მაგრამ ეს ვარიანტი ჩაიშალა. მხოლოდ ერთი კაცი წავიდა გუნდიდან — რაფაელ მარკესი „ბარსელონამ" გადაიბირა. მექსიკელი მეგოლე მცველი ამიერიდან კატალონიელებისთვის ითამაშებს.

მარსელი

სეზონის წინ ისე იყო არეული, რომ წარმატებისა თვითონ მწვრთნელსაც კი არ სჯეროდა. პირველი წრის ბოლოს გუნდი ცხრილის სათავეში მოექცა. ეს მოულოდნელი იყო. ალან პერენმა ზამთარშივე თქვა, პირველი ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდებაო. გაზაფხულის დადგომისთანავე სამხრეთელთა უპირატესობა გალღვა. საბოლოოდ მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ, თუმცა მწვრთნელი ამ შედეგითაც კმაყოფილი იყო: „ამასაც არ ველოდი, რადგან რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ ასე მალე თუ ავეწყობოდით, არ მეგონა. „მარსელმა" ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს და საამისო პოტენციალი ნამდვილად აქვს".

კლუბმა ამ ზაფხულს „ბარსელონადან" ფილიპ კრისტენვალი გადაიყვანა, რომელიც თავის დროზე კატალონიაში „მონაკოდან" წავიდა. კრისტენვალი და დანიელ ვან ბუიტენი დაცვის ცენტრს შეადუღაბებენ.

„მარსელი" ორი თავდამსხმელითაც გამდიდრდა. „გენგამის" შარშანდელი მეგოლე დიდიე დროგბა და პრაღის „სლავიას" ჩეხი შტეფან ვახოუშეკი დღეიდან „მარსელისთვის" გაიტანენ.

პსჟ

ლუის ფერნანდესმა მოახერხა და დედაქალაქის კლუბი, ერთ-ერთი უმდიდრესი საფრანგეთში, მეთერთმეტე ადგილზე გაიყვანა. თასის ფინალში „ოსერთანაც" დამარცხდა და პსჟ ევროთასების მიღმა დარჩა. ასეთი სიმწარე პარიზელ გულშემატკივრებს არ ახსოვთ. მათი აზრით, რონალდინიოთი დამშვენებულ გუნდს ჩემპიონობა ხელეწიფებოდა, სეზონის ბოლოს კი საერთოდ ჯილდოს გარეშე დარჩა.

ამ წარუმატებლობას ქომაგები უპირველესად ფერნანდესისა და რონალდინიოს ცუდ ურთიერთობას აბრალებდნენ. მწვრთნელიც და ფეხბურთელიც მედიასთან ურთიერთობაში ანგელოზები გამოდიოდნენ, მაგრამ ამით გუნდს არაფერი ეშველა.

სეზონი დასრულდა და მოდავეთა გზები კლუბის პრეზიდენტმა ფრანსის გრაილმა გაყო: ლუის ფერნანდესმა უმუშევრებში გადაინაცვლა, რონალდინიომ კი „ბარსელონა" დაამშვენა.

ფრანგი მწვრთნელი ბოსნიელმა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა შეცვალა. მან სამი წლის წინ „ლილში" მუშაობით გაითქვა სახელი, შარშან კი „რენი" დაქვეითებისგან იხსნა. პარიზელებმა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი ისურვეს თავკაცად და ბოსნიელიც დათანხმდა.

მას რონალდინიოს შენარჩუნება ეწადა, მაგრამ ბრაზილიელის სანაცვლოდ იმდენი ფული მიიღეს, რომ ოთხი ახალი ფეხბურთელი შეიძინეს, გუშინ კი „ბაზელის" ნახევარმცველს ჰაკან იაკინსაც დაიმატებდნენ, თუ სამედიცინო შემოწმებას ფრიადზე გაივლიდა.

ოთხ ახალშეძენილს კი ჩამოთვლით: „ბორდოს" მთავარმეგოლე, პორტუგალიელი პედრო პაულეტა, კამერუნელი ნახევარმცველი მოდესტა მბამი და ასევე კამერუნელი მცველები: ერიკ კუბილესი და ჟოზე პიერ ფანფანი.



პედრო პაულეტა

ჰაკან იაკინი

გუშინ საფრანგეთი, გვითხარით!

ოთხი მუშკეტერი და დანარჩენი საფრანგეთი

გუშინ საფრანგეთის ჩემპიონატი „ლილი" — „ლიონის" მატჩით დაიწყო. საევროთასო მონაგარით თუ გავზომავთ, ფრანგული ლიგა პრიმერადივიზიონს, პრემიერლიგას, ბუნდესლიგასა და სერია ზ-ს აშკარად ჩამორჩება. სამაგიეროდ, მოულოდნელობებითაა აღსავსე. ვითარება თითქმის ბოლო ტურის ბოლო წუთამდე ამღვრეულია და ჩემპიონის გამოცნობა თბილისში მომრავლებულ ნათელმხილველთა „ALL STAR"-საც კი გაუჭირდება. ფაქტებს მოგართმევთ: 1994 წლიდან 2002-მდე ჩემპიონი ყოველ სეზონში იცვლებოდა. მხოლოდ „ლიონმა" მოახერხა ზედიზედ ორჯერ (2002 და 2003) პირველობა. დაახლოებით რვა გუნდის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც ოქროსთვის იბრძოლებენ, მაგრამ მათ შორის ოთხია გამოსარჩევი: „ლიონი", „მონაკო", „მარსელი" და პსჟ. სწორედ ამ კლუბების საზაფხულო სამზარეულოს გთავაზობთ ცალ-ცალკე, დანარჩენებისას კი ერთად თავმოყრილს.

სხვანი

ხუთგზის ჩემპიონმა „ბორდომ" ორი შემტევი (კრისტოფ დუგარი და პედრო პაულეტა) კი გაყიდა, მაგრამ ოთხი ახალი მოთამაშე დაიმატა: ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე დეივიდი, არგენტინელი მცველი მაურიციო პოჩეტინო პსჟ-დან, რომელიც პაულეტას ფულთან ერთად მიიღეს, „ინტერიდან" კანეისა, „პორტუდან" კი პაულო კოშტა. სეზონისწინა ამხანაგურ მატჩებში „ბორდომ" მხოლოდ რუმინული „კრაიოვა" დაამარცხა, „ბრიუგესთან" და „ლევერკუზენთან" წაგო, „მარსელს" კი დაუზავდა.

გი რუმ „ოსერის" ძირითადი შემადგენლობა შეინარჩუნა. მხოლოდ ხალილუ ფადიგა გაუშვა მილანის „ინტერში", მაგრამ მილანელმა ექიმებმა დაიწუნეს. გული აწუხებს და მისთვის ფეხბურთის თამაში საშიშია.

„ოსერში" როტერდამის „ფეიენოორდიდან" ბუნევენტურე კალუ გადავიდა, რომელიც ჯიბრილ სისეს, ოლივიე კაპოსა და ჟან ალენ ბუმსონგთან ერთად უეფას თასზე ითამაშებს. გი რუს გუნდმა ამხანაგურ მატჩებში „პანათინაიკოსი" და „ტრუა" დაამარცხა, საფრანგეთის სუპერთასი კი ერთი კვირის წინ „ლიონთან" წაგო.

წინა სეზონის სიურპრიზი „სოშოც" უეფას თასისკენ მიმავალ გზას დაადგება. გი ლაკომბის ბიჭებმა ჩემპიონატი შინ დაუმარცხებლად დაასრულეს და საზაფხულო ამხანაგურ შეხვედრებშიც წაუგებლად ითამაშეს. „ქსამაქს", ზაგრების „დინამოსა" და ბუქარესტის „რაპიდს" სძლიეს, „სერვეტს", „სტრასბურსა" და „პანათინაიკოსს" დაუზავდნენ.

ქუთაისის „ტორპედოს" მეტოქე „ლანსიდან" ექვსი ფეხბურთელი გაუშვეს და მხოლოდ ორი შეიმატეს: აბდულაიე კეიტა „ლორიანიდან" და ყმაწვილი ფინელი მეკარე მენპაა.

სეზონისწინა მოსამზადებელ მატჩებში „ლანსი" „ლიონს" ფრედ ეთამაშა, „ჯილინგემს", „ლოკიერენსა" და „ლეგიას" მოუგო, „სტრასბურთან" კი დამარცხდა.

სტრასბურელები, როგორც ჩანს, საგრძნობლად გაძლიერდნენ. ჩეხი მწვრთნელი ივან ჰაშეკი ივნისში ფრანგმა ანტუან კამბუარემ შეცვალა. მას ახალი ფეხბურთელებიც მოჰყვნენ — მეკარე შირაშ დუტრუელი „ალავესიდან" (იგი სამშობლოში დაბრუნდა), პონტუს ფარნერუ „მონაკოდან", დორსინი „იურგორდენიდან" და ლე პენი „იფსვიჩიდან".

მწვრთნელი შეიცვალა „ნანტშიც", რომელიც ახალი თავკაცის მეთაურობით ამჟამად ინტერტოტოს თასზე თამაშობს. „ნანტში" გამოზრდილი ერიკ ჯემბა-ჯემბათი ახლა თავს „მანჩესტერ იუნაიტედი" იწონებს. ნახევარმცველი მაკუკულა ესპანურ „ვალიადოლიდში" გადავიდა, პიერ ივ ანდრე კი — „გენგამში".

ასევე ახალი მწვრთნელები ჰყავთ „რენსა" და „აიაჩოს". „რენში" ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის ადგილი ცნობილმა რუმინელმა ლასლო ბოლონიმ დაიკავა, კორსიკული გუნდი კი როლან კურბისის შემდეგ დომინიკ ბიჟოტამ ჩაიბარა.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი. I დივიზიონი. 2003-2004



1 აგვისტო
ლილი — ლიონი

1-ლი ტური 2 აგვისტო 2003
ოსერი — ნიცა
გენგამი — მარსელი
ლანსი — ლე მანი
მეცი — აიაჩო
მონაკო — ბორდო
მონპელიე — რენი
პსჟ — ბასტია
სოშო — ნანტი
ტულუზი — სტრასბური

მე-2 ტური 9 აგვისტო
ბასტია — მეცი
ბორდო — მონპელიე
ლე მანი — აიაჩო
ლილი — პსჟ
ლიონი — მონაკო
მარსელი — ოსერი
ნანტი — ლანსი
ნიცა — სოშო
რენი — ტულუზი
სტრასბური — გენგამი

მე-3 ტური 16 აგვისტო
აიაჩო — ნანტი
ოსერი — სტრასბური
გენგამი — ბორდო
ლე მანი — ნიცა
ლანსი — მარსელი
მეცი — პსჟ
მონაკო — ბასტია
მონპელიე — ლიონი
სოშო — რენი
ტულუზი — ლილი

მე-4 ტური 23 აგვისტო
ბასტია — მონპელიე
ბორდო — ოსერი
ლილი — მეცი
ლიონი — ტულუზი
მარსელი — სოშო
ნანტი — ლე მანი
ნიცა — აიაჩო
პსჟ — მონაკო
რენი — გენგამი
სტრასბური — ლანსი

მე-5 ტური 30 აგვისტო
აიაჩო — მარსელი
ოსერი — რენი
გენგამი — ლიონი
ლე მანი — სტრასბური
ლანსი — ნიცა
მონაკო — მეცი
მონპელიე — პსჟ
ნანტი — ბორდო
სოშო — ლილი
ტულუზი — ბასტია

მე-6 ტური 13 სექტემბერი
ბასტია — გენგამი
ბორდო — სოშო
ლილი — მონაკო
ლიონი — ოსერი
მარსელი — ლე მანი
მეცი — მონპელიე
ნიცა — ნანტი
პსჟ — ტულუზი
რენი — ლანსი
სტრასბური — აიაჩო

მე-7 ტური 20 სექტემბერი
აიაჩო — რენი
ოსერი — ბასტია
გენგამი — პსჟ
ლე მანი — ლიონი
ლანსი — ბორდო
მონპელიე — მონაკო
ნანტი — მარსელი
ნიცა — ლილი
სოშო — სტრასბური
ტულუზი — მეცი

მე-8 ტური 27 სექტემბერი
ბასტია — სოშო
ბორდო — აიაჩო
ლილი — მონპელიე
ლიონი — ლანსი
მარსელი — ნიცა
მეცი — გენგამი
მონაკო — ტულუზი
პსჟ — ოსერი
რენი — ლე მანი
სტრასბური — ნანტი

მე-9 ტური 4 ოქტომბერი
აიაჩო — ლიონი
ოსერი — ლილი
გენგამი — მონაკო
ლე მანი — ბორდო
ლანსი — მეცი
მარსელი — ბასტია
ნანტი — რენი
ნიცა — სტრასბური
სოშო — პსჟ
ტულუზი — მონპელიე

მე-10 ტური 18 ოქტომბერი
ბასტია — ლანსი
ბორდო — ტულუზი
ლილი — აიაჩო
ლიონი — სოშო
მეცი — ნანტი
მონაკო — ოსერი
მონპელიე — გენგამი
პსჟ — ლე მანი
რენი — ნიცა
სტრასბური — მარსელი

მე-11 ტური 25 ოქტომბერი
აიაჩო — პსჟ
ოსერი — მონპელიე
გენგამი — ტულუზი
ლე მანი — ბასტია
ლანსი — ლილი
მარსელი — რენი
ნანტი — ლიონი
ნიცა — ბორდო
სოშო — მონაკო
სტრასბური — მეცი

მე-12 ტური 1 ნოემბერი
ბასტია — აიაჩო
ბორდო — მარსელი
ლილი — გენგამი
ლიონი — ნიცა
მეცი — სოშო
მონაკო — ლე მანი
მონპელიე — ნანტი
პსჟ — ლანსი
რენი — სტრასბური
ტულუზი — ოსერი

მე-13 ტური 8 ნოემბერი
აიაჩო — მონაკო
ოსერი — გენგამი
ლე მანი — მეცი
ლანსი — მონპელიე
მარსელი — ლიონი
ნანტი — პსჟ
ნიცა — ბასტია
რენი — ლილი
სოშო — ტულუზი
სტრასბური — ბორდო

მე-14 ტური 22 ნოემბერი
ბასტია — ნანტი
ბორდო — რენი
გენგამი — სოშო
ლილი — მარსელი
ლიონი — სტრასბური
მეცი — ოსერი
მონაკო — ლანსი
მონპელიე — აიაჩო
პსჟ — ნიცა
ტულუზი — ლე მანი

მე-15 ტური 29 ნოემბერი
აიაჩო — ტულუზი
ბორდო — ბასტია
ლე მანი — მონპელიე
ლანსი — გენგამი
მარსელი — პსჟ
ნანტი — მონაკო
ნიცა — მეცი
რენი — ლიონი
სოშო — ოსერი
სტრასბური — ლილი

მე-16 ტური 3 დეკემბერი
ოსერი — ლე მანი
ბასტია — რენი
გენგამი — აიაჩო
ლილი — ნანტი
ლიონი — ბორდო
მეცი — მარსელი
მონაკო — ნიცა
მონპელიე — სოშო
პსჟ — სტრასბური
ტულუზი — ლანსი

მე-17 ტური 6 დეკემბერი
აიაჩო — ოსერი
ბორდო — ლილი
ლე მანი — გენგამი
ლანსი — სოშო
ლიონი — მეცი
მარსელი — მონაკო
ნანტი — ტულუზი
ნიცა — მონპელიე
რენი — პსჟ
სტრასბური — ბასტია

მე-18 ტური 13 დეკემბერი
ოსერი — ლანსი
ბასტია — ლიონი
გენგამი — ნანტი
ლილი — ლე მანი
მეცი — რენი
მონაკო — სტრასბური
მონპელიე — მარსელი
პსჟ — ბორდო
სოშო — აიაჩო
ტულუზი — ნიცა

მე-19 ტური 20 დეკემბერი
აიაჩო — ლანსი
ბასტია — ლილი
ბორდო — მეცი
ლე მანი — სოშო
ლიონი — პსჟ
მარსელი — ტულუზი
ნანტი — ოსერი
ნიცა — გენგამი
რენი — მონაკო
სტრასბური — მონპელიე

მე-20 ტური 10 იანვარი, 2004
მეცი — ბასტია
მონპელიე — ბორდო
აიაჩო — ლე მანი
პსჟ — ლილი
მონაკო — ლიონი
ოსერი — მარსელი
ლანსი — ნანტი
სოშო — ნიცა
ტულუზი — რენი
გენგამი — სტრასბური

21-ე ტური 17 იანვარი
ნანტი — აიაჩო
სტრასბური — ოსერი
ბორდო — გენგამი
ნიცა — ლე მანი
მარსელი — ლანსი
პსჟ — მეცი
ბასტია — მონაკო
ლიონი — მონპელიე
რენი — სოშო
ლილი — ტულუზი

22-ე ტური 31 იანვარი
მონპელიე — ბასტია
ოსერი — ბორდო
მეცი — ლილი
ტულუზი — ლიონი
სოშო — მარსელი
ლე მანი — ნანტი
აიაჩო — ნიცა
მონაკო — პსჟ
გენგამი — რენი
ლანსი — სტრასბური

23-ე ტური 7 თებერვალი
მარსელი — აიაჩო
რენი — ოსერი
მონაკო — ნიცა
მონპელიე — სოშო
პსჟ — სტრასბური
ტულუზი — ლანსი

მე-24 ტური 14 დეკემბერი
ლიონი — გენგამი
სტრასბური — ლე მანი
ნიცა — ლანსი
მეცი — მონაკო
პსჟ — მონპელიე
ბორდო — ნანტი
ლილი — სოშო
ბასტია — ტულუზი

24-ე ტური 14 თებერვალი
გენგამი — ბასტია
სოშო — ბორდო
მონაკო — ლილი
ოსერი — ლიონი
ლე მანი — მარსელი
მონპელიე — მეცი
ნანტი — ნიცა
ტულუზი — პსჟ
ლანსი — რენი
აიაჩო — სტრასბური

25-ე ტური 21 თებერვალი
რენი — აიაჩო
ბასტია — ოსერი
პსჟ — გენგამი
ლიონი — ლე მანი
ბორდო — ლანსი
მონაკო — მონპელიე
მარსელი — ნანტი
ლილი — ნიცა
სტრასბური — სოშო
მეცი — ტულუზი

26-ე ტური 28 თებერვალი
სოშო — ბასტია
აიაჩო — ბორდო
მონპელიე — ლილი
ლანსი — ლიონი
ნიცა — მარსელი
გენგამი — მეცი
ტულუზი — მონაკო
ოსერი — პსჟ
ლე მანი — რენი
ნანტი — სტრასბური

27-ე ტური 6 მარტი
ლიონი — აიაჩო
ლილი — ოსერი
მონაკო — გენგამი
ბორდო — ლე მანი
მეცი — ლანსი
ბასტია — მარსელი
რენი — ნანტი
სტრასბური — ნიცა
პსჟ — სოშო
მონპელიე — ტულუზი

28-ე ტური 13 მარტი
ლანსი — ბასტია
ტულუზი — ბორდო
აიაჩო — ლილი
სოშო — ლიონი
ნანტი — მეცი
ოსერი — მონაკო
გენგამი — მონპელიე
ლე მანი — პსჟ
ნიცა — რენი
მარსელი — სტრასბური

29-ე ტური 20 მარტი
პსჟ — აიაჩო
მონპელიე — ოსერი
ტულუზი — გენგამი
ბასტია — ლე მანი
ლილი — ლანსი
რენი — მარსელი
ლიონი — ნანტი
ბორდო — ნიცა
მონაკო — სოშო
მეცი — სტრასბური

30-ე ტური 27 მარტი
აიაჩო — ბასტია
მარსელი — ბორდო
გენგამი — ლილი
ნიცა — ლიონი
სოშო — მეცი
ლე მანი — მონაკო
ნანტი — მონპელიე
ლანსი — პსჟ
სტრასბური — რენი
ოსერი — ტულუზი

31-ე ტური 3 აპრილი
მონაკო — აიაჩო
გენგამი — ოსერი
მეცი — ლე მანი
მონპელიე — ლანსი
ლიონი — მარსელი
პსჟ — ნანტი
ბასტია — ნიცა
ლილი — რენი
ტულუზი — სოშო
ბორდო — სტრასბური

32-ე ტური 10 აპრილი
ნანტი — ბასტია
რენი — ბორდო
სოშო — გენგამი
მარსელი — ლილი
სტრასბური — ლიონი
ოსერი — მეცი
ლანსი — მონაკო
აიაჩო — მონპელიე
ნიცა — პსჟ
ლე მანი — ტულუზი

33-ე ტური 24 აპრილი
ტულუზი — აიაჩო
ბასტია — ბორდო
მონპელიე — ლე მანი
გენგამი — ლანსი
პსჟ — მარსელი
მონაკო — ნანტი
მეცი — ნიცა
ლიონი — რენი
ოსერი — სოშო
ლილი — სტრასბური

34-ე ტური 1 მაისი
ლე მანი — ოსერი
რენი — ბასტია
აიაჩო — გენგამი
ნანტი — ლილი
ბორდო — ლიონი
მარსელი — მეცი
ნიცა — მონაკო
სოშო — მონპელიე
სტრასბური — პსჟ
ლანსი — ტულუზი

35-ე ტური 8 მაისი
ოსერი — აიაჩო
ლილი — ბორდო
გენგამი — ლე მანი
სოშო — ლანსი
მეცი — ლიონი
მონაკო — მარსელი
ტულუზი — ნანტი
მონპელიე — ნიცა
პსჟ — რენი
ბასტია — სტრასბური

36-ე ტური 12 მაისი
ლანსი — ოსერი
ლიონი — ბასტია
ნანტი — გენგამი
ლე მანი — ლილი
რენი — მეცი
სტრასბური — მონაკო
მარსელი — მონპელიე
ბორდო — პსჟ
აიაჩო — სოშო
ნიცა — ტულუზი

37-ე ტური 15 მაისი
ლანსი — აიაჩო
ლილი — ბასტია
მეცი — ბორდო
სოშო — ლე მანი
პსჟ — ლიონი
ტულუზი — მარსელი
ოსერი — ნანტი
გენგამი — ნიცა
მონაკო — რენი
მონპელიე — სტრასბური

38-ე ტური 23 მაისი
ნიცა — ოსერი
მარსელი — გენგამი
ლე მანი — ლანსი
ლიონი — ლილი
აიაჩო — მეცი
ბორდო — მონაკო
რენი — მონპელიე
ბასტია — პსჟ
ნანტი — სოშო
სტრასბური — ტულუზი

ჰაინცე და კაპიტოლიუმი
რაიკარდის საპროგრამო სიტყვა

კაპიტოლიუმი რონალდინიომაც მოინახულა

„ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა პსჟ-ს არკენტინელი მცველით, გაბრიელ ჰაინცეთი დაინტერესდა. ვაშინგტონში მოწყობილ პრესკონფერენციაზე კატალონიელთა თავკაცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კონტაქტები ფეხბურთელის აგენტებთან უკვე ჰქონდა, მაგრამ საქმის მოგვარებას ფრანგული კლუბის ჰაინცესადმი დიდი სიყვარული არიულებს. „ბარი სენ ჟერმენის“ უფროსები მშვენივრად ხედებიან, თუ რამხელა ძალას წარმოადგენს პატაგონიელი მათთვის და გაბრიელი ტრანსფერგარეშეულ გამოცხადეს. თავად ფეხბურთელი ამ საკითხზე საუბარს ჯერჯერობით დიპლომატიურ დუმილს ამჯობინებს. ლაპორტას აზრით, 2003-04 წლების სეზონისთვის გუნდის სატრანსფერო შენაძენების ხანა ჯერ არ დასრულებულა და რაიკარდის შეგირდებს შორის ბევრ ახალ მოთამაშეს ვიხილავთ.

პრესკონფერენციაზე ხუან რომან რიკელმეს სავარაუდო გუნდის შესახებაც ითქვა. ამჟამად „ბარსას“ ყოფილ მე-10 ნომერთან ყველაზე ახლოს მისივე ოდინდელი კლუბი „ბოკა ხუნიორსია“. თუმცა „ბარსელონას“ ხელმძღვანელობისთვის უკეთესი იქნება, რიკელმე ივარით რომელიმე ევროპულ გრანდს თუ მიაშურებს.

ამასობაში კატალონიელები ამერიკულ ტურნეში არიან და იქაურ ლირშესანიშნაობებს ეცნობიან. „ბარსელონას“ შემადგენლობამ კაპიტოლიუმის მონახულება გადაწყვიტა. აშშ-ს კანონმდებლობის ბურჯმა შენობამ ფრანკ რაიკარდის ბიჭებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ისინიც, ზოგი ფოტო, ზოგი კი ვიდეოკამერით შეიარაღებულნი, დემოკრატიის გარდაცვლილ მამათა უშფოთველ სკულპტურებს შეესივნენ. თავად ჰოლანდიელი მწვრთნელი ზანგთა უფლებებისთვის სახელოვანი მებრძოლის — მარტინ ლუთერ კინგის ძეგლთან შეჩერდა. „იგი ადამიანთა რასობრივი თანასწორობისთვის იბრძოდა და ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც ყოველი კაცი, განურჩევლად კანის ფერისა, თანაბარი უფლებებით ისარგებლებდა. მარტინი ჩემთვის მისაბაძი მაგალითია, დიდი თუ პატარა ოცნებანი ნებისმიერი პიროვნებისთვის საჭიროა, ისევე როგორც ჩვენთვის ახლა „ბარსელონაში“ მოღვაწეობა“ — გულწრფელად აღიარა ამერიკელი გმირით მოხიბლულმა რაიკარდმა.

ლადო ხომერიკი

რა ღირს ერთი საბავშვო მანჩესტერი?



„მანჩესტერ იუნაიტედს“ 2,65 მილიონი დოლარის ჯარიმა დაეკისრა, თუმცა დაჯარიმებულთა შორის მარტო არ არის, მის გარდა კიდევ ათი კომპანიაა, რომლებიც „უმბროს“ მაისურებზე ფასების დაფიქსირებაში ამხილეს. ორგანიზაცია, რომელმაც ეს კომპანიები ამხილა, გახლავთ „ფეარ ტრეიდინგის“ ოფისი ანუ პატიოსანი ვაჭრების სამსახური, ხოლო დაჯარიმებულთა შორის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც მოხვდა. ასოციაციას 198 ათასი გირვანქა აქვს გადასახდელი.

„ფეარ ტრეიდინგის“ ოფისის თავმჯდომარემ, ჯონ ვიკერსმა განაცხადა: „ჯარიმები უკვე იმის ნიშანია, რომ საქმე სერიოზულ დარღვევასთან გვაქვს. ამ ბიზნესში ფასების დაფიქსირება არაფრით არ შეიძლება. მას მერე, რაც საქმეში ჩვენ ჩავერიეთ, მაისურებზე ფასები დაეცა და მოქალაქეებს მათი შეძენა უფრო ხელმისაწვდომად შეუძლიათ“.

ამასობაში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჯარიმისა და სახელის შებღალვის ამბავი იუკადრისა და განაცხადა, რომ ზემოხსენებულ ოფისს ყოველმხრივ უწყობდა ხელს, საქმის გამოძიებაში ეხმარებოდა და გარდა ამისა, არ მონაწილეობდა მაისურებზე ფასების დაფიქსირების საქმეში.

არადა, გამოვლინდა ფაქტი: ინგლისის ნაკრების, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ჩელსის“, „სელტიკის“ და სხვათა მოკლესახელოებიანი და საბავშვო მაისურები 30 გირვანქა ღირდა (მაშინ, როდესაც მისი რეალური ფასი 18 გირვანქიდან იწყება და 30-ით მხოლოდ მთავრდება), ხოლო გრძელსახელოებიანი და დიდებისა — 40 გირვანქა (რეალური ფასი 24-40 გირვანქა ყოფილა).

ამ ყოველივემ აღაშფოთა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც, რომელიც თავის და ნაკრების იმიჯზე, ბუნებრივია, ფრიად ზრუნავს და ქომაგთა ასეთი გაწბილება ხელს არაფრით აძლევდა. მაისურათა ამბის გაკონტროლებას ასოციაცია მომავალში სერიოზულად აპირებს.

პაპუნა კედია

დაუჯერეთ პროფესორს
რომ შეცვალე, რა შეცვალე?

რატომ ცვლიან მწვრთნელებს? უმეტეს შემთხვევაში ცუდი შედეგების გამო. ახლა ვიკითხოთ, ეს „წამალი“ გუნდის თამაშის გამოსასწორებლად უებარია?

აი, ამ კითხვის გერმანული პასუხი: მიუნხენერის უნივერსიტეტში რიცხვები ერთმანეთს მიუმატეს, გამოაკლეს, გაამრავლეს, გაყვეს, ფესვიც ამოიღეს და დაადგინეს, რომ თავკაცის შეცვლისას გუნდის თამაში უმჯობესდება, მაგრამ ეს სიამტკბილობა დიდხანს არ გრძელდება.

ასე დაასკვნა უნივერსიტეტის პროფესორმა ქალბატონმა, ალექსანდრა ტიპენჰაუერმა, რომლის მამიკომაც 1980 წელს ბილეფელდის „არმინიას“ მწვრთნელის ადგილი მწვრთნელმოხსნილი დაკარგა.

1963 წლიდან 1998-ის ჩათვლით, მოხსნილი 206 გუნდის შედეგები შემდეგი წესით გამოიკვლიეს. ძველის მოხსნამდე და ახლის შემდეგ შემდეგ 12 მატჩის მონაგარი შეადარეს. აღმოჩნდა, რომ მეთაურშეცვლილი გუნდების 70 პროცენტი საბოლოოდ მეთორმეტე ადგილზე ზემოთ არ აცოცებულა.

პროფესორებმა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც აღმოაჩინეს: მწვრთნელგამოცვლილ გუნდთა 56 პროცენტი მაინც გავარდა ბუნდესლიგიდან. მათგან კი, ვინც ძველ მწვრთნელს ენდო მხოლოდ 37 ჩაეშვა ქვედა ლიგაში.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები

მანჩესტერ იუნაიტედი 4:1 იუვენტუსი

1:0, 2:0 გიგზი (23, 60), 3:0 ვან ნისტელროი (61), 3:1 ნედვედი (70), 4:1 სოლსკიაერი (79)

მანჩესტერ იუნაიტედი: ჰოვარდი, ფ. ნევილი (ბათი 76), ფერდინანდი, ოში, ფორჩუნი, სოლსკიაერი (რიჩარდსონი 80), ვერონი (ფლეტჩერი 65), კინი, სქოულზი (ბელიონი 65), გიგზი, ვან ნისტელროი (ფორლანი 65)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

იუვენტუსი: ბუფონი (კიმენტი 62), ბირინდელი (ძამბროტა 62), ფერარა, მონტერო (ლეგროტალიე 62), პესოტო, კამორანეზი (ტრეზეგე 62), დავიდსი (ალბა 62), კონტე (დელ პიერო 62), მარესკა (ტაკინარდი 62), მიკოლი, დი ვაიო (ნედვედი 62)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მსაჯი: ბრაიან ბალი (აშშ)

79 005 მაყურებელი

ნიუ იორკში დიდი ფეხბურთი დასასრულდა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავაც უხვგოლიანი გამარჯვებით განაგრძობს თავის ჩრდილოამერიკულ ტურნეს. ამჯერად, ნიუ იორკში „იუნაიტედმა“ ჩემპიონთა თასის ფინალისტი, ტურინის „იუვენტუსი“ დაამარცხა, 4:1.

სიეტლში „სელტიკის“ (4:0) და ლოს ანჯელესში „კლუბ ამერიკას“ (3:1) ძლევის შემდეგ „მანჩესტერელებმა“ კვლავაც ჯანითა და ფეხებისდაუმალავად ითამაშეს და იტალიის ჩემპიონს გვარიანად აჯობეს. თამაშის გმირად ყველამ ერთხმად აღიარა ხუან სებასტიან ვერონი, რომლის „ჩელსიში“ წასვლაზეც ლაპარაკი კარგა ხნის ატეხილია. სწორედ სება გამოდგა ის კაცი, ვინც სული ჩაუდგა მანჩესტერელთა ნახევარდაცვას „ჯაიანთის“ სტადიონზე.

ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა რაიან გიგზმა. ვერონისა და ოლე გუნარ სოლსკიაერის მოხდენილ კომბინაციას მოჰყვა პოლ სქოულზის მეორე გოლი, მერე კი იმავ ვერონის პასი მიიღო რუუდ ვან ნისტელროიმ, რომელმაც თავისი გოლით მარკო ვან ბასტენი გაგვახსენა. მერე პაველ ნედვედმა ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ სოლსკიაერმა მაინც მიაყოლა ამას მეოთხე.

„მანჩესტერის“ კარში პირველად იდგა ამერიკელი ტიმ ჰოვარდი, რომელმაც ქება დაიმსახურა, გიგზმა კი თავისი გოლით დაასაბუთა, რომ ამ გუნდში ბექემის გარდა სხვასაც სცოდნია საჯარიმოების დარტყმა. გიგზის გოლი ერთადერთი იყო პირველ ტაიმში, შეხვედრის პირველ ნახევარშივე როი კინმა და სქოულზმა ყვითელი ბარათები მიიღეს, რაც იმის მოწმობადაც გამოდგება, რომ „მანჩესტერი“ მაინცდამაინც ამხანაგურად არ მიდგომია ამ შეხვედრას.

თამაშის მშვენება კი იყო ვან ნისტელროის გოლი: მან მკერდით მიიღო ვერონის რბილი და ზუსტი პასი, შემობრუნდა და ბურთი ძირსდაუშვებლად გაუშვა კარში მარჯვენა ფეხით. იტალიელთა მეკარემ ანტონიო კიმენტიმ ვერაფერი გააწყო.

ჰოვარდს რომ მივუბრუნდეთ, მას ალესანდრო დელ პიერო, დავიდ ტრეზეგე და ნიკოლა ლეგროტალიე აწუხებდნენ, თუმცა, ამერიკელმა მხოლოდ შეცვლაზე შესული ნედვედის 20 მეტრიდან დაჭედებული გაუშვა.

სერ ალექს ფერგიუსონმა თამაშს „ფანტასტიკური“ უწოდა და თქვა: „სეზონის გახსნამდე ათი დღე დაგვრჩა და მზადაც ვართ. ამერიკულ ტურნეში მაყურებლისთვის ნამდვილი თამაშის ჩვენება გვინდოდა და მგონი გამოგვივიდა. მოწინააღმდეგის გამო კი მინდა ვთქვა, ზოგჯერ დიდ ფეხბურთელებსაც არ გამოუვათ ხოლმე თამაში“.

მარჩელო ლიპიმ დაურთო: „ყოველთვის არსებობს ალბათობა, რომ ასეთ გუნდთან წააგებ“.

ახლა „იუვე“ ამავე სტადიონზე „მილანთან“ გაითამაშებს სუპერთასს, „მანჩესტერი“ კი განახლებულ „ბარსელონას“ შეხვდება. ამ უქმეებზე დიდი ევროპული გუნდების ამერიკული ტურნე მთავრდება.

ირაკლი ბამყრელიძე

ოლე გუნარ სოლსკიაერმა (მარცხნივ) ტურინელებს თავისი ფილი გოლი უსახსოვრა

ალფრედო დი სტეფანო „გეადლიგთ. ქეაო“ ფრაგმენტები წიგნიდან

ჩე, რას მემართლები?!

მომდევნო შაბათს ალფრედო დი სტეფანოს მოგონებების გადმოქართულებას დავასრულებთ, ანუ დღეს მისი ავტობიოგრაფიული წიგნიდან ბოლოსწინა ნაწყვეტს გთავაზობთ.

თურმე, ნუ იტყვით და, დიადი ფრანსისკო ხენტო, დი სტეფანოს გამოქომაგება რომ არა, სანტანდერში ჩაიკარგებოდა.

დი სტეფანოს წერილების გაყალბებაშიც უცდია ბედი და ეს საქმეც გამოსვლია. კალმის ერთი მოსმით დონ სანტიაგო ბერნაბეუსთვის სალაროდან ფული ამოუცლია და ძმაკაცისთვის მიუცია.

ამ ნაწყვეტში დი სტეფანო ამ ამბებზე მოგვითხრობს.

რა ენაზე ლაპარაკობ?

მუდამ ვცდილობდი მსაჯებთან პრობლემები არ მქონოდა, მაგრამ ყოველთვის არ გამომდიოდა. საქმე ის არის, რომ თამაშისას ბევრს ვლაპარაკობდი, თანაგუნდელებს სულ რაღაცას ვეუბნებოდი, ხანდახან, წარმოიდგინეთ, საკუთარ თავსაც ველაპარაკებოდი. თუმცა, არასოდეს ვიგინებოდი. მსაჯებს ჩემი ეს თვისება არ მოსწონდათ და შენიშვნებს მაძლევდნენ.

— რა დავაშავე? — გაოცებული ვეკითხებოდი.

— ენას კბილი დააჭირე და ისე ითამაშე — მპასუხობდნენ მსაჯები.

— კი მაგრამ, პირი თუ არ გავაღე, როგორ ვისუნთქო? — ხანდახან შაყირის ხასიათზეც ვდგებოდი.

ნელ-ნელა მსაჯები ჩემს ამ თვისებას შეეგუნენ და აღარ მაფრთხილებდნენ, მაგრამ პირველ ხანს ძალიან გამიჭირდა. რამდენჯერმე სასაცილო ამბავიც შემემთხვა, რისი მიზეზიც ჩემი არგენტინული ჟარგონი იყო, რასაც ესპანელი მსაჯები ვერ გებულობდნენ. მაგალითად, ერთხელ მსაჯმა დამაჯარიმა და ვკითხე: ჩე, რას მემართლები? ჩე, არგენტინაში მეგობრული მიმართვის ფორმაა, „რას მემართლები“ კი ჩვენებურად ნიშნავს: „რატომ ჩასტვინე“. მსაჯმა კი ისე გაიგო, თითქოს არაკეთილსინდისიერებაში ვადანაშაულებდი და მატჩის ოქმშიც სათანადო ჩანაწერი გააკეთა. ცხადია, ფედერაციამ დამაჯარიმა. ჯარიმა კლუბმა გადაიხადა, გაბრაზებულმა სანტიაგო ბერნაბეუმ კი მითხრა: „ნუთუ არ შეგიძლია, ესპანურის წესიერად სწავლა?“ თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი — ყოველთვის ვთვლიდი, რომ გამართული ესპანურით ვლაპარაკობდი და თურმე ხალხს ჩემი არ ესმოდა. ლინგვისტური პრობლემები ნელ-ნელა გამოვასწორე.

ისე, მსაჯები მართლა ხშირად ცდებოდნენ, თუმცა გულში არასდროს გამივლია, მოსყიდულები არიანო. ასეთი რამეები ალბათ ხანდახან ხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არც ისე ხშირად, როგორც ზოგი ფიქრობს და პირადად ჩემთვისაც ფული არასდროს არავის შემოუთავაზებია. უბრალოდ მგონია, რომ ვთქვათ, თანამსაჯი, რომელსაც ტრიბუნამდე ნახევარი მეტრი აშორებს და სტუმარი გუნდის შეტევისას ზურგსუკან გაგიჟებული ქომაგების ღრიალი ესმის, უფრო ხშირად აფიქსირებს ოფსაიდს, ვიდრე სინამდვილეში საჭიროა. ეს უბრალო ადამიანური სისუსტეა და მექრთამეობასთან რაიმე კავშირი არ აქვს.

თუმც ისეც ხდება, რომ, ვთქვათ, ორივე გუნდს ფრე აწყობს და ასეთ შემთხვევაში წინასწარ გარიგება საჭირო არც არის. ერთი ასეთი თამაში მახსოვს — ჩემპიონობამდე ერთი ქულა გვაკლდა, „სოსიედადი“ კი, ასევე ერთი ქულით პრიმერადივიზიონში ადგილს ინარჩუნებდა. ის მატჩი 0:0 დამთავრდა, თავი არც ერთს მოგვიკლავს.

თანაგუნდელები

განა საგანგებო აღნიშვნა უნდა, რომ „რეალი“ ვარსკვლავური გუნდი იყო? მხოლო ერთი რამ ვერ გამეგო — რამდენიმე წლის მანძილზე უტიტულოდ როგორ რჩებოდა. ყველა ფეხბურთელი ბრწყინვალე გვყავდა. მეკარე — ხუანიტო ალონსო კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი, ფორვარდებზე ლაპარაკისას კი უპირველესად ხენტოს გამოვარჩევდი.

ფრანსისკო ხენტო „რეალში“ ჩემზე სამი თვით ადრე მოვიდა. სოფლელი ბიჭი იყო, ხმას არ იღებდა, გუნდთან ადაპტაცია ძალიან გაუჭირდა.

ჩვენი გადასვლის წელს „რეალი“ ჩემპიონი გახდა, მაგრამ სანტიაგო ბერნაბეუ ხენტოთი უკმაყოფილო იყო და მის თაობაზე აზრის გამოთქმა მთხოვა. „დონ სანტიაგო, ხენტოს უბრალოდ დრო სჭირდება და ნახავთ, დიდი ფეხბურთელი გახდება“ — ვუპასუხე მე.

—„რეალს“ ლოდინის დრო არ აქვს — მიპასუხა დონ სანტიაგომ — ალბათ ისევ გავცვლი ესპინიაში.

ესპინია ჩვენი ფეხბურთელი იყო, რომელიც სანტანდერის „რაინგს“ ხენტოში გავუცვალეთ. ესპინია იქ ბევრად უკეთ ათამაშდა, ვიდრე „რეალში“ თამაშობდა. მაგრამ დონ სანტიაგოს მაინც შევეწინააღმდეგე, ოცი წლის ბიჭის კვალობაზე ხენტო ძალიან კარგი ფეხბურთელია-მეთქი.

საბოლოოდ, ჩემმა რჩევამ გაჭრა, ბერნაბეუმ ხენტო დაიტოვა და არც უნანია: ფრანსისკოს საშინელი სისწრაფე ჰქონდა, ვერავინ ეწეოდა. თუმც თავიდან ეს სისწრაფე ხელსაც უშლიდა — სწორი გადაწყვეტილები მიღებას ვერ ახერხებდა. თანდათან, ასაკის მატებასთან ერთად, ხენტოს სისწრაფეც შეინარჩუნა და სიტუაციებშიც სწორად ერკვეოდა. ის ჩვენი გამარჯვებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახდა.

ისე, ხენტოსი არ იყოს, თავიდან მეც საკმაოდ გამიჭირდა „მილიანარიოსში“ და „რივერში“ სხვანაირად ვთამაშობდით. იმ გუნდებში პარტნიორები ჩემთან უფრო ახლოს იდგნენ და პასსაც უფრო ხშირად ვიღებდი, „რეალში“ კი ჩემთვის ბურთი მოლოვნის უნდა მოეცა, რომელმაც მძიმე ტრავმის შემდეგ სისწრაფე დაკარგა და ამიტომ ხშირად გუნდს მოწყვეტილი ვიყავი.

ექტორ რიალიზე ცალკე უნდა მოვყვე. ჩვენ ჯერ კიდევ არგენტინიდან ვმეგობრობდით. მერე მე ესპანეთში წამოვედი, ის კი მონტევიდეოს „ნასიონალში“ გადაბარგდა, მაგრამ მალე უმუშევარი დარჩა, თან იმხანად შვილი შეეძინა და ძალიან უჭირდა.

ჰოდა, ერთხელ დონ სანტიაგომ მკითხა, ოკეანის გაღმა ვინმე კარგი თავდამსხმელი ხომ არ გეგულებაო — ჩემპიონთა თასისთვის ვემზადებოდით და შეტევის ხაზის გაძლიერება გვინდოდა. რიალიზე მოვუყევი. გაარკვიე, „რეალში“ გადმოსვლაში რამდენს მოითხოვსო — დამავალა დონ სანტიაგომ. მივწერე, პასუხი მალე მივიღე: რიალი თანახმა იყო და 200 ათას პესეტს ითხოვდა. 200 ათასი — ცოტაა, გავიფიქრე მე და იმავე ფერის კალმით 200 250-ად გადავასწორე.

სანტიაგო ბერნაბეუს წამითაც არ უყოყმანია, დათანხმდა.

თუმც რიალის მერე აღარ გაუმართლა, როცა ბერნაბეუმ „რეალში“ ფერენც პუშკაში მოიყვანა, რიალის პოზიცია შეუცვალეს და ის ჩაიკარგა.

პირადად ჩემთვის კი საუკეთესო პარტნიორი ნენე მარსალა იყო. 190 სმ სიმაღლის ახმახი დიდი ნაბიჯის წყალობით, ყველგან ყოფნას ასწრებდა და ბრწყინვალე დრიბლინგიც ჰქონდა.

ერთხელ ბილბაოს „ატლეტიკს“ ვხვდებოდით. სტუმრად ვთამაშობდით. ნენემ ხუთი ბასკი ჩამოიტოვა და ერთი დარტყმაღა რჩებოდა. და რა — ააცილა. ის თამაში 0:3 წავაგეთ, მთელი უკანა გზა კი ნენე მარსალას დავცინოდით. როცა მეორე წრეში „ატლეტიკი“ მადრიდში გვეწვია, მარსალამ ზუსტად ისეთივე დრიბლინგით ჩამოიტოვა ხუთი ბასკი და გაიტანა. ამ გოლზე ათიოდე წელი ლაპარაკობდნენ.



ფრანსისკო ხენტო



ექტორ რიალი

მოლოვნი დი სტეფანოს პასს ხშირად უგვიანებდა

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

ტოტალიზატორის თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური						
		2 აგვისტო						
18.30	003	ჰამბურგი-პანოვერი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
18.30	004	შალკე-დორტმუნდი	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
18.30	005	ლევერკუზენი-ფრაიბურგი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
18.30	006	ვოლფსბურგი-ბოხუმი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.30	007	კაისერსლაუტერნი-მიუნხენი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
18.30	008	ჰერთა-ვერდერი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		3 აგვისტო						
20.30	009	ჰანსა-შტუტგარტი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
20.30	010	მიონხენგლადბახი-კიოლნი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
		გერმანია. II ბუნდესლიგა. I ტური						
		3 აგვისტო						
18.00	011	არმინია-ობერჰაუზენი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.00	012	ფიურტი-უნტერჰახინგი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.00	013	აუე-რეგენსბურგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.00	014	კოტბუსი-ტრირი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.00	015	მაინცი-უნიონი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.00	016	ბურგჰაუზენი-ალემანია	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
18.00	017	ალენი-ოსნაბრიუკი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	018	დუისბურგი-ლიუბეკი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		4 აგვისტო						
23.15	019	კარლსრუე-ნიურნბერგი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური						
		2 აგვისტო						
17.00	023	ლაიპციგი-ქემნიცი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
17.00	024	მიუნსტერი-შალკე(მ)	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
17.00	025	ერფურტი-ვუპერტალი	1,75	3,5	4,0	1,16	1,21	1,86
17.00	026	ნოიმიუნსტერი-ჰამბურგი(ბ)	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
		3 აგვისტო						
17.00	027	ბრაუნშვაიგი-დინამო	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.00	028	კიოლნი(მ)-ესენი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). I ტური.						
		2 აგვისტო						
17.30	032	ბაიერნი(მ)-ერფურტი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
17.30	034	ფოიხტი-ზაარბრიუკენი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
17.30	035	ჰოფენჰაიმი-ეინბორნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	036	ოფენბახი-ფუსლენდორფი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
		3 აგვისტო						
18.00	037	სიგენი-ვეენი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		საფრანგეთი. I დივიზიონი. I ტური.						
		2 აგვისტო						
20.15	039	მონაკო-ბორდო	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
23.00	040	მონპელიე-რენი	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
23.00	041	კსკ-პასტია	1,55	3,3	6,5	1,05	1,25	2,18
23.00	042	სიმო- ნანტი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	043	ტულუზი-სტრასბური	2,05	3,0	3,6	1,21	1,3	1,63
23.00	044	მეცი-აიაქსიო	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
23.00	045	ოსერი-ნიცა	1,7	3,2	5,0	1,11	1,26	1,95
23.00	046	გენგამი-მარსელი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.00	047	ლანსი-ლე მანი	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		I ტური						
		2 აგვისტო						
23.00	049	ანჟე-ვალანსი	2,1	3,0	3,5	1,23	1,31	1,61
23.00	050	შატორუ-სტ.ეტიენი	1,9	3,0	4,2	1,16	1,3	1,75
23.00	051	კლერმონი-რუანი	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
23.00	052	გრენობლი-ბესანკონი	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
23.00	053	გენიონი-ლორიანი	2,4	2,9	3,0	1,31	1,33	1,47
23.00	054	ისტრი-სედანი	2,8	2,9	2,5	1,42	1,32	1,34
23.00	055	ლავალი-ამიენი	1,85	3,0	4,4	1,14	1,3	1,78
23.00	056	ნიორი-კრეტეი	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
23.00	057	ტრუა-კაენი	1,75	3,1	4,8	1,11	1,28	1,88
		ზეხეთი. II ტური						
		2 აგვისტო						
17.25	059	ბლშანი-სლავია	7,5	4,4	1,35	2,77	1,14	1,03
20.15	060	პლსენი-ჟიჟკოვი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
20.15	061	ბანიკი-ლიბერეცი	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
20.15	062	ბრნო-სინოტი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.15	064	იაბლონეკი-სიგმა	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
20.15	065	სპარტა-ოპავა	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	066	სპარტა-ოპავა 0:1	1,4	3,8	4,2			
		4 აგვისტო						
19.40	067	ტეპლიცე-პრეიბრამი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.00	063	ზლინი-ბუდეიოვიცე	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		სლოვაკეთი						
		III ტური						
		2 აგვისტო						
20.00	068	ინტერი-პუხოვი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
20.00	069	ბ.ბისტრიცა-სლოვანი	2,5	3,0	2,7	1,36	1,29	1,42
22.00	070	ტრნავა-ჟილინა	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
22.00	071	ტრენჩინი-რუჟომბეროკი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		3 აგვისტო						
13.30	072	პეტრჟალკა-დუბნიკა	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		უნგრეთი						
		II ტური						
		2 აგვისტო						
21.00	074	ზალაეგერსეგი-მტკ	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
23.00	075	ფენერცვაროში-ვიდეოტონი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
23.00	076	უიპეშტი-სოპრონი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
23.00	077	დებრეცენი-ჰალადაში	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		3 აგვისტო						
21.00	078	პეჩი-ბეკეშჩაბა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		დანია. სუპერლიგა						
		II ტური						
		2 აგვისტო						
20.00	080	კოპენჰაგენი-ოდენსე	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
		3 აგვისტო						
18.00	081	აკადემისკი-ოლბორგი	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42
18.00	082	ჰერფიოლგე-მიდტიუელანდი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
18.00	083	ვიბორგი-ესბიერგი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
18.00	084	ორჰუსი-ნორდსიელანდი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
20.35	085	ფრემი-ბრიონდბიუ	4,8	3,5	1,65	2,02	1,22	1,12
		დანია. I დივიზიონი.						
		I ტური						
		2 აგვისტო						
18.00	086	ფკ ორჰუსი-ბ 93	1,85	3,6	3,4	1,22	1,19	1,74

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		3 აგვისტო						
16.00	087	სკიოლდი-ფრემადი	1,65	3,8	4,4	1,15	1,2	2,03
16.00	088	კოგე-ვეილე	2,15	3,6	2,8	1,34	1,21	1,57
16.00	089	იოლსტიკე-ნიკიობინგი	1,9	3,6	3,3	1,24	1,2	1,72
18.00	090	სიონდერიილანდი-რანდერსი	2,15	3,6	2,8	1,34	1,21	1,57
18.00	091	პორსენსი-ბრიონსპიოი	1,75	3,6	3,8	1,17	1,19	1,84
18.00	092	სილკებორგი-ბ 1913	1,3	5,3	7,0	1,04	1,09	3,01
22.00	093	ფრედერიკია-ნორდიილანდი	2,0	3,6	3,1	1,28	1,21	1,66
		ავსტრია						
		ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი						
		2 აგვისტო						
22.30	099	ზალცბურგი-გრაცერი	2,4	3,2	2,8	1,37	1,29	1,49
		ავსტრია. I დივიზიონი. IV ტური						
		2 აგვისტო						
18.30	108	ლუსტენაუ-ლინცერი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
22.00	109	უნტერსიბენბრიუნი-აუსტრია(ლ)	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		შვეიცარია						
		სუპერლიგა. IV ტური						
		2 აგვისტო						
22.30	113	აარაუ-სერვეტი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
22.30	114	ქსამაქსი-იანგ ბოიზი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.30	115	თუნი-გრასჰოპერი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
22.30	116	ვილი-ბაზელი	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
22.30	117	ციურიხი-სტ.გალენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
		შვეიცარია						
		ჩელენჯლიგა. III ტური						
		2 აგვისტო						
20.30	118	ბადენი-ბულე	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.30	119	შო დე ფონი-ბელინცონა	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
20.30	120	ანიო-კრინსი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
20.30	121	ვადუცი-შაფჰაუზენი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.30	122	ვინტერთური-კონკორდია	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
20.30	123	ვოლენი-დელემონი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
20.30	124	ივერდონი-მეირინი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
20.30	125	ლუცერნი-კიასო	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
		სლოვენია.						
		III ტური						
		2 აგვისტო						
23.30	128	ოლიმპია-პუბლიკუმი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		3 აგვისტო						
20.30	129	მურა-გორიცა	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
20.30	130	პ.დრავა-დრავოგრადი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
20.30	131	კოპერი-მარიბორი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
20.30	132	პრიმორიე-დომჟალე	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		ხორვატია.						
		II ტური						
		2 აგვისტო						
21.00	136	ინკერი-სლავენი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
21.00	137	ციბალია-ოსიეკი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
21.00	138	ზადარი-ზაგრები	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.00	139	ვარტეკსი-რიეკა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.00	140	დინამო-მარსონია	1,1	7,0	16,0	1	1,02	4,86
		3 აგვისტო						
23.15	141	კამენი-პაიდუკი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
		უკრაინა						
		V ტური						
		2 აგვისტო						
16.00	144	კარპატი-შახტარი	6,5	3,5	1,5	2,27	1,21	1,04
16.00	145	ობოლონი-ზაპოროჟიე	2,35	2,9	3,1	1,29	1,33	1,49
		3 აგვისტო						
16.00	146	ზირკა-ბორისფენი	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
16.00	147	დინამო-დნიპრო	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
16.00	148	ილიჩოვეცი-კრივბასი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
16.00	149	მეტალურგი-არსენალი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
16.00	150	ვორსკლა-ჩერნომორეცი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
16.00	151	ტავრია-ვოლინი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი. XIX ტური						
		2 აგვისტო						
16.00	156	ურალანი-კრილია	2,6	2,9	2,7	1,37	1,32	1,39
16.00	157	ზენიტი-ალანია	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
16.00	158	შინიკი-ცსკა	3,0	3,0	2,35	1,5	1,31	1,31
16.00	159	სპარტაკი-ლოკომოტივი	3,1	3,1	2,25	1,55	1,3	1,3
16.00	160	რუბინი-ჩერნომორეცი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
16.00	161	როტორი-სატურნი	2,7	3,0	2,5	1,42	1,29	1,36
		ირლანდია						
		XVI ტური						
		2 აგვისტო						
23.30	169	ლონგფორდი-სტ.პატრიკსი	2,6	2,9	2,7	1,37	1,32	1,39
		შვედეთი. ალსვენსკა. XVI ტური						
		2 აგვისტო						
19.00	173	ელფსბორგი-იურგორდენი	3,4	3,2	2,05	1,64	1,27	1,24
		3 აგვისტო						
20.00	174	ენჩიოპინგი-იორგრიტე	3,2	3,3	2,1	1,62	1,26	1,28
20.00	175	სუნდსვალი-ჰელსინგბორგი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
		4 აგვისტო						
22.00	176	გიოტებორგი-იოსტერი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
22.00	177	ლანდსკრონა-მალმიო	3,2	3,3	2,1	1,62	1,26	1,28
22.00	178	იორებრო-ჰალმსტადი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.00	179	აიკ-ჰამარბი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		შვედეთი. სუპერეტა. XVII ტური						
		2 აგვისტო						
19.00	183	ვესტეროსი-ფრიოლუნდა	2,1	3,4	3,1	1,29	1,25	1,62
19.00	184	ატვიდაბერგი-კალმარი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
		3 აგვისტო						
19.00	185	ბოდენსი-ოპერა	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
20.00	186	სილვია-იფკ მალმიო	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5
21.00	187	ასირისკა-ბრომაპოიკარნა	2,35	3,3	2,6	1,37	1,23	1,45
21.00	188	ჰეკენი-ფორვარდი	1,5	4,0	5,6	1,09	1,18	2,33
21.00	189	ფალკენბერგი-ტრელებორგი	3,5	3,6	1,8	1,77	1,18	1,19
21.00	190	გეფლე-ნორჩიოპინგი	2,4	3,4	2,5	1,4	1,22	1,44
		ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური						
		3 აგვისტო						
21.00	195	ლილესტრიომი-მოლდე	2,15	3,5	2,9	1,33	1,23	1,58
21.00	196	სოგნდალი-ბრინი	1,5	4,0	5,6	1,09	1,18	2,33
21.00	197	ვიკინგი-ტრომსიო	1,5	4,0	5,6	1,09	1,18	2,33
21.00	198	ალესუნდი-ვოლერენგა	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42
23.00	199	რუსენბორგი-ბრანი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	200	რუსენბორგი-ბრანი 0:1	1,65	3,3	3,3			
		4 აგვისტო						
22.00	201	ოდ გრენლანდი-სტაბეკი	1,85	3,5	3,5	1,21	1,21	1,75
		ნორვეგია. I დივიზიონი. მე-17 ტური						
		3 აგვისტო						
21.00	203	ოსლო იოსტი-პიოდი	3,1	3,8	1,75	1,7	1,11	1,19
21.00	204	სტრიომგოდსეტი-იორნი	1,45	4,2	6,0	1,07	1,16	2,47
21.00	205	სანდეფიორდი-სტარტი	1,6	4,0	4,6	1,14	1,18	2,13
21.00	206	მანდალი-ჰამარი	2,45	3,4	2,45	1,42	1,22	1,42
21.00	207	ბერუმი-პიონეფოსი	4,0	3,8	1,7	1,94	1,19	1,17
21.00	208	ალტა-მოსი	3,0	3,8	2,0	1,67	1,2	1,31
21.00	209	ჰაუგესუნდი-სკეიდი	1,95	3,8	3,1	1,28	1,19	1,7
21.00	210	ფრედრიკსტადი-რაუფოსი	1,8	3,8	3,4	1,22	1,17	1,79
		ფინეთი. XV ტური						
		2 აგვისტო						
18.00	212	ჰიკ-ლაპტი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	213	ჰიკ-ლაპტი 0:1	2,05	3,2	2,45			
19.00	214	ინტერი-კუოპიო	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
19.00	215	ტამპერე-ჰაამეენლინა	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	216	ტამპერე-ჰაამეენლინა 0:1	2,05	3,2	2,45			
		3 აგვისტო						
20.30	217	იოკერიტი-იარო	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
20.30	218	კტპ-ალიანსი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
20.30	219	ტურკუ-მიუპა	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ბრაზილია. XXIII ტური								
2 აგვისტო								
24.00	227	ფლუმინენსე-კრუზეირო	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
24.00	228	გრემიო-სანტოსი	3,0	3,3	2,2	1,57	1,26	1,32
02.00	229	სან კეეტანო-ჟუვენტუდი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
02.00	230	სან პაულუ-ინტერნაციონალი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
3 აგვისტო								
24.00	231	ფიგეირენსე-გოიასი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
24.00	232	პარანა-კორინთიანსი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
24.00	233	პაისანდუ-გუარანი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
24.00	234	კურიტიბა-ფორტალეზა	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
24.00	235	ბაია-კრიციუმა	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
24.00	236	პონტე პრეტა-ფლამენგო	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
02.00	237	ვასკე და გამა-ატლეტიკო პრ	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
02.00	238	ატლეტიკო მნ-ვიტორია	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
არგენტინა. აპერტურა								
2 აგვისტო								
02.15	244	როსარიო-ველესი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
02.35	245	კოლონი-რასინგი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
23.30	246	არსენალი-ტალეიერესი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
3 აგვისტო								
23.30	247	ბანფილდი-ნიუელსი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.30	248	ოლიმპო-ლანუსი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
23.30	249	ინდეპენდიენტე-ასტიანტესი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
23.30	250	კილმესი-ატლეტიკო	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
24.00	251	რიკერ პლეიტი-ნუეკა ჩიკაო	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
02.10	252	ხიმნასია-ბი

გაინტერესებთ, რა ღირს ვოვა ბოისა? 200 ათასი დოლარი. სწორედ ამდენი უნდა გადაუხადოს ლიუბლიანურ „ოლიმპიას“ ჩვენებურის მსურველმა კლუბმა. ბოისას კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს ოლიმპიელებთან. ბოისას მსრუველებიც გამოუჩნდნენ, მაგრამ მას ოლიმპიელების დახმარებით სლოვენიური პასპორტის აღების იმედი აქვს და სადღეისოდ კლუბის გამოცვლა არ სურს. მისი მენეჯერი მარკ ფლეიშერიც ლიუბლიანელებთან ახალ, ერთწლიან კონტრაქტის ვარიანტზე მუშაობს. განახლებულ კონტრაქტში ერთ-ერთ პუნქტად შევა ბოისასთვის სლოვენიური პასპორტის გაკეთება. გუშინწინ ბოისას იმ დროს დავუკავშირდით, დომინიკელთა რესპუბლიკიდან ფრანკფურტში ჩაფრენილი, ლიუბლიანის რეისს რომ ელოდებოდა...

პასპორტი ბოისას არსოზისა

დომინიკა ბალნარია ევროპეთში ჩასმული

— სად ხარ, ორი კვირაა, შენი მობილური ტელეფონი გათიშულია...

— ეს-ესაა დომინიკელთა რესპუბლიკიდან ჩამოვფრინდი, დასასვენებლად ვიყავი ჩემს სლოვენიელ საცოლესთან ერთად. კარიბეთში ევროპული მობილურები არ მუშაობენ.

— დომინიკელთა რესპუბლიკა ეგზოტიკურ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. ზღაპრულად დაისვენებდი...

— ასეთი არაფერი მინახავს, 16 დღეში მხოლოდ ერთხელ გამოვედი იმ წალკოტიდან, დომინიკელებს ერთ-ერთ პლაჟზე რომ მოუწყვიათ. ძალიან ლამაზი ბუნება, პალმები, ბამბუკები და რა ვიცი, კიდევ რა... იმ სასტუმროს 5 რესტორანი და 8 ბარი ჰქონდა, თანხა წინასწარ მქონდა გადახდილი და ყველაფერი უფასო იყო. ასეთი დასვენებული, ახლა რომ გელაპარაკები, არასდროს ვყოფილვარ.

— ევროპაში ჩამოხვედი და მალე ალბათ ვარჯიშსაც შეუდგები. გავიგეთ, თელ-ავივის „მაკაბის“ უნდიხარ...

— სანამ დასასვენებლად წავიდოდი, მაკაბელებს მანამდე ვუთხარი უარი. დღეს წამითაც არ ვფიქრობ სხვაგან გადასვლაზე. „ოლიმპიაში“ დარჩენა მინდა.

— „ოლიმპია“ ხომ თითქმის დაიშალა...

— თითქმის სულ ასეა, როცა ოლიმპიელებს წარმატებული სეზონი აქვთ, მეორე წელიწადს 5-6 მოთამაშე ყოველთვის მიდის გუნდიდან. მხოლოდ სამნი ვრჩებით ძირითადი შემადგენლობიდან — მე, შტელმახერსი და ბაზდარიჩი.

— გადაწყვეტილია, რომ „ოლიმპიაში“ დარჩები?

— ჯერ ერთი, „ოლიმპიასთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, თან აქაურები სლოვენიურ, ანუ ევროკავშირის პასპორტს მიკეთებენ და ამიტომაც არ მინდა წასვლა. თუ პასპორტს გამიკეთებენ, არაფრის პრობლემა აღარ მექნება, სერია A-შიც იოლად გადავალ და ესპანურ ლიგაშიც.

— ახლა ვერ გადახვალ იტალიურ ან ესპანურ კლუბში?

— როგორ ვერა, მაგრამ ევროკავშირული პასპორტი სხვა მხრივაც საჭიროა. მოკლედ, თუ სლოვენიაში დავრჩები, ალბათ მხოლოდ მოქალაქეობის გამო...

— „ოლიმპიასთან“ კონტრაქტი გაკავშირებს და შენს მომავალ კლუბს თანხა ექნება გადასახდელი...

—ჩემმა მსურველმა კლუბმა „ოლიმპიას“ 200 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს. ერთ წელიწადში კი ნებისმიერ გუნდს უფასოდ შეეძლება ჩემი აყვანა.

— დღესდღეობით როგორი ვითარებაა?

— ჩემი მენეჯერი მარკ ფლეიშერი ოლიმპიელებთან სრულიად ახალ კონტრაქტზე მუშაობს, რაშიც ჩემთვის პასპორტის გაკეთება მათ ვალდებულებად იქნება ჩადებული. თუ ამაზე დამთანხმდნენ, სანაცვლოდ იმას ვთმობ, რომ თანახმა ვარ მომავალი სეზონის შემდეგაც, როცა თავისუფალი აგენტი გავხდები, ჩემმა მსურველმა კლუბმა ოლიმპიელებს 100 ათასი გადაუხადოს. ახალი ხელშეკრულებით ლიუბლიანელები იმას მოიგებენ, რომ გუნდში კიდევ ერთი წელი ვეყოლები და კონტრაქტი რომ დამიმთავრდება, საკმაოდ დიდ თანხასაც აიღებენ ჩემში. ყველაფერ ამაში მხოლოდ სლოვენიური პასპორტის გაკეთება მართებთ ჩემთვის.

— რა გახდა ეს პასპორტი, 5 წელია, სლოვენიაში ხარ და სხვა მანდაურ კლუბში რომ ითამაშო, ისე არ მოგცემენ?

— არა, კიდევ სამი წელი მჭირდება მოქალაქეობის მიღებამდე, ოლიმპიელები კი ამ საქმეს თავიანთი გავლენისა და კავშირების წყალობით გამიკეთებენ. კლუბის დირექტორი დიდი კაცია და სწორედ ის დამპირდა ამ რამდენიმე თვის წინ აქაურ პასპორტს.

— საბოლოოდ როდის გაირკვევა შენი „ოლიმპიაში“ დარჩენის ამბავი?

— იქით კვირაში ალბათ ახალ კონტრაქტს გავაფორმებ. ფლეიშერს ველაპარაკე და, როგორც შევატყვე, ალბათ მოახერხებს ჩემთვის სასურველ პირობებზე ოლიმპიელთა დათანხმებას. სლოვენიური პასპორტის აღების ერთი გზაც მაქვს, აქაური ცოლი მოვიყვანო, მაგრამ ამ შემთხვევაში 2 ან 3 წელი მაინც უნდა ველოდო მოქალაქეობას. თანაც, ლამაზი არ იქნება ჩემს საცოლესთან. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— თუ ფლეიშერი და ოლიმპიელები ვერ შეთანხმდნენ...

— არ ვიცი, შესაძლოა, სხვა გუნდში გადავიდე ან ძველი პირობებით დავრჩე „ოლიმპიაში“. კარგი სეზონი მქონდა და ბევრ კლუბსაც ვუნდივარ, მაგრამ, როგორც ვითხარი, პასპორტის გაკეთების პირობით „ოლიმპიაში“ დარჩენა მიჯობს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

ქუთაისი ბათუმი აღარაა ბალახვანში

ვითამაშებთ, სიმონ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი გუნდი „ქუთაისია“. ფინანსური სიდუხჭირე ქუთაურებს მუდამ კუდში სდევთ, ხან ვისი და ხანაც რისი შემწეობით ახერხებდნენ წლიდან წლამდე თავის გატანას. „ქუთაისის“ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი თითქმის ყოველი სეზონის წინ სასწორზე დევს და დღესაც ასეა, თუმც როგორც ყოველთვის, იმედი ახლაც არის.

ის კი ნაღდია, რომ „ქუთაისს“ მეორე გუნდი არ ეყოლება, ანუ ეროვნული ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარე დუბლიორთა ტურნირში, რომლის ჩატარება ფედერაციამ წლეულს გადაწყვიტა, იმერლები მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

„ფედერალების“ ასეთმა გადაწყვეტილებამაც იმოქმედა იმაზე, რომ ეროვნულში „ქუთაისის“ მონაწილეობა საეჭვო გახდა. ქუთათურებს ბოლო სეზონში „ბასკო“ სწყალობდა. ზღვისპირელებმა „ქუთაისს“ რამდენიმე კალათბურთელიც ათხოვეს და ბათუმის დარბაზში მეტოქეების მიღების უფლებაც მისცეს. ახლა კი, დუბლიორთა ჩემპიონატის ჩატარება რომ გადაწყდა, ბათუმელებმა — რა გასაკვირია და — უკან წაიყვანეს თავიანთი კალათბურთელები და მათგან „დუბლიორ“ გუნდს აკეთებენ. „ქუთაისიდან“ „ბასკოს“ დუბლებში წასული მოთამაშეები არიან გიორგი დოლიძე, არჩილ ბოლქვაძე, მანუჩარ ნინუა და დავით მაისურაძე. ბათუმელებმა თავიანთი ძირითადი გუნდისთვის „ქუთაისისგან“ ბუბა კვიმსაძე, დავით იმნაძე და მამუკა ბოლქვაძეც დაიბრუნეს. და ვინღა დარჩა „ქუთაისში“? თითქმის არავინ.

შემადგენლობის ფაქტობრივი დაკარგვის მიუხედავად, ქუთაისელთა კლუბის ხელმძღვანელობა ქალაქის მერიისა და, კერძოდ, მამუკა ჩიხრაძის დახმარების იმედადაა. ჩიხრაძე ყოფილი კალათბურთელია და იმერეთის მთავარქალაქშიც ერთ-ერთ დიდმოხელედ ითვლება. იგი აქამდეც ეხმარებოდა „ქუთაისს“, თუმც ამიერიდან ალბათ კლუბის ოფიციალური პრეზიდენტი გახდება. მას კლუბის სათავეში ჩადგომას სთავაზობენ და ჩიხლაძე, სავარაუდოდ, ჩაიბარებს კიდეც ძის იმედად მყოფ გუნდს.

როგორც „ქუთაისის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა შოთა ჯავახიშვილმა გვითხრა, შეთხელებულ შემადგენლობას სპორტსკოლის ახალგაზრდა კალათბურთელებით შეავსებენ, საშინაო მატჩებს კი, ბათუმის ნაცვლად, სავარაუდოდ, თბილისში უმასპინძლებენ.

„ქუთაისის სპორტსკოლის დარბაზი არასტანდარტულია და გარემონტების შემთხვევაშიც კი, მხოლოდ სავარჯიშოდ თუ გამოგვადგება — ამბობს ჯავახიშვილი — გეგმაში გვაქვს იმ დარბაზის კეთილმოწყობა, რომლის შენებაც ბალახვანში 70-იან წლებში დაიწყეს. კედლები თითქმის ამოყვანილია და ტრიბუნებიც სანახევროდ დამონტაჟებული. იმ დღეს, საქმის მცოდნე ხალხმა ნახა ის „მშენებარე“ დარბაზი და თქვა, სამუშაოების გაგრძელება შეიძლებაო. მერიის ხელმძღვანელები დაგვპირდნენ მშენებლობაში დახმარებას. ისინიც და ჩვენც ახლა სპონსორების ძიებაში ვართ. იმედი გვაქვს, ყველაფერს მოევლება და მომავალში ქუთაისს ღირსეული გუნდი ეყოლება — ოპტიმისტური ინტონაციით დაასრულა ჩვენთან საუბარი შოთა ჯავახიშვილმა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

რაჯას დედოფალი მოსტაცეს

პატარა გერმანელი შინ გმირულად დაეცა

ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲘ ბრძოლებით დაიწყო დორტმუნდის სუპერტურნირი. ჩატარებული სამიდან ორი პარტია ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და ყაიმით მხოლოდ ერთი დასრულდა.

პირველი ტურის ცენტრალური პარტია მსოფლიოს ნომერ მესამე და მეოთხე მოჭადრაკეების — ვიშვანათან ანანდისა და პიტერ ლეკოს შეხვედრა იყო.

შავებით მოთამაშე უნგრელმა მრისხანე ინდუსთან სიცილიური დაცვით დაწყება არჩია. ორივემ თავიდანვე მხედრები გამოიყვანა წინ. ანანდი მალევე გადავიდა შეტევაზე და მეტოქე გაცვლითი თამაშში ჩაითრია. ლეკო მამაცურად დაუხვდა, ინდოელის იერიშის მოგერიებასთან ერთად თავის ტერიტორიაზე ფიგურების მობილიზებას შეუდგა. მეოცე სვლაზე უნგრელმა E4-ე უჯრაზე მდგარი პაიკი წინ წასწია და შეტევაზეც გადავიდა. შეტევა კი ისეთი სახიფათო გამოდგა, რომ ანანდი იძულებული გახდა, წინ გაშვებული ფიგურები თავდასაცავად უკან დაეხია. 27-ე სვლაზე მოთამაშეებმა ლაზიერები გაცვალეს და ბრძოლის დაფა შედარებით სუსტ ფიგურებს დაუთმეს. შემდეგ მათ დარჩენილი ფიგურებიც შეატაკეს ერთმანეთს. ამ გაცვლებში ინდოელმა უფრო იხეირა, პაიკი მოიგო და ვარკვეული უპირატესობა მოიპოვა. თუმცა გამოყენება კი ვერ შეძლო და 57-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა.

ანალოგიურად დაიწყო კრამნიკი — რაჯაბოვის პარტია, თუმც წინასგან განსხვავებით, აქ მოწინააღმდეგეთა შორის კლასში დიდი სხვაობა იყო და მეათე სვლიდან თამაში სულ სხვა სცენარით გაგრძელდა. ვლადიმერ კრამნიკი რეიტინგით და გამოცდილებით ბევრად აღემატება ჯერაც ყმაწვილ აზერბაიჯანელს. ამ პარტიაში ბაქოელმა ვუნდერკინდმა მრისხანე მეტოქეს ერთხანს კი გაუწია წინააღმდეგობა, ცოტა ანერვიულა კიდეც, თუმც...

რაჯაბოვმა საკუთარი მეფის წინ კედლის ამოშენების შემდეგ პაიკებით იერიში წამოიწყო, თუმცა რუსი მიუხვდა ჩანაფიქრს, შეძლო მისი შეჩერება და აქეთ შემოუტია. კონტრიერიშისას კრამნიკმა მეტოქეს ლაზიერი ააცალა და გადაწყვიტა კიდევაც თამაშის ბედი. მომდევნო სვლაში აზერბაიჯანელმა მას გამარჯვება გადაულოცა.

მასპინძელ გერმანელებს ძალიან ეიმედებოდათ არკადი ნაიდიჩის. 17 წლის გერმანელი მოლდოველ ვიორელ ბოლოგანს ხვდებოდა. თამაში დაძაბული და პირველ ტურში ყველაზე უხსვლიანი გამოდგა. გერმანელი საკუთარ კედლებში ბოლომდე გმირულად ებრძოლა მოლდაველ მომხდურს და 63-ე სვლაზე გმირულად დაეცა.

ᲚᲐᲖᲐ ᲑᲔᲒᲔᲨᲙᲝᲠᲘ



ვიორელ ბოლოგანმა გერმანიას იმედი მოუკლა

ჰეპელა-ზვიგენი
ფელპსი უბერავს რეპს

„ყოველი გაცურვის წინ „ემინემის“ დისკს ვუსმენ ხოლმე. ერთი სიმღერაა, სახელი ძლივს დავიმახსოვრე. ჩვეულებად მექცა იმის მოსმენა, რაღაცნაირად ენერგიით მავსებს. ისე, მთლიანად ემტივის სიამოვნებით ვუყურებ. თამაშებიდან ყველაზე მეტად XBox-ის ვიდეოთამაშები მიყვარს...“

18 წლის მაიკლ ფელპსი ერთი შეხედვით ემტივის თაობის ჩვეულებრივი თინეიჯერია, ერთობა იმით, რითაც ათასობით მისი ტოლი და მისგან არავინ ელის ინტელექტის ვერბალურ ნაკადს. სამაგიეროდ, მას ზე დაუსრულებლად მსჯელობენ ჭკვიანი ადამიანები, გამოთქვამენ მოსაზრებებს, ადარებენ სხვებს და აჯამებენ მის შედეგებს, რადგან მაიკლ ფელპსი უბრალოდ ემინემის თაყვანისმცემელი ბავშვი კი არა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენია. ხოლო წლების შემდეგ შეიძლება ცურვის ლეგენდაც გახდეს

მაიკლ ფელპსმა ჯერ კიდევ 15 წლისამ ააფორიაქა სპორტზე მწერლები, როცა 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 200 მეტრ ბატერფლაიში მეხუთე დრო აჩვენა. მეხუთე ადგილი თავისთავად ვერაფერი შედეგია მოცურავისთვის და საერთოდაც სპორტსმენისთვის, რომ ამის გამო საგაზეთო სვეტები მოაცდინო, მაგრამ აქ მთავარი ხომ ასაკია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ოლიმპიურ თამაშებს ასეთი ახალგაზრდა ვაჟი მონაწილე არ ახსოვს.

დღეს, იმ ისტორიული პრეცედენტიდან სამი წლის შემდეგ, მაიკლ ფელპსი აღარაა მხოლოდ მონაწილე. ამ კვირადღეს . ბარსელონაში ჩამთავრებული საწყლოსნო სახეობების მსოფლიოს ჩემპიონატიდან მან შინ, ამერიკაში სამი ინდივიდუალური ოქროს მედალი და ხუთი მსოფლიო რეკორდი წაიღო.

მაიკლ ფელპსი 18 წლისა და 1 თვის წინ ძველ ამერიკულ ქალაქ ბალტიმორში დაიბადა. 9 წლისა იყო, როცა მის ქვეყანას დიდი ფეხბურთი ეწვია — აშშ-მ 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ამერიკა უფეხბურთო ქვეყანაა, იქ უდიდესმა სპორტულმა ტურნირმა ისე ჩაიარა, ბეისბოლზე გადარეულმა ხალხმა უცხო ხილს კვემო ვერ ჩაატანა, მაგრამ პატარა მაიკლს კი შეუყვარდა ტყავის ბურთი და სკოლაში ბეისბოლს ფეხბურთიც შეუთავსა.

მაღალი და გამხდარი მაიკლი მალე მიხვდა, რომ მოედანი მისი სარბიელი არ იყო. უცხოურ ფეხბურთში ბურთის დევნა უჭირდა, შინაურ ბეისბოლშიც ვერ იყო მარჯვე პიჩერ-ქეჩერი. მაგრამ ბავშვს მოძრაობა, სხვასთან გაჯიბრება სწყუროდა და 12 წლიდან თავით გადაეშვა აუზში. სამი წლის შემდეგ ის უკვე დიდ ტურნირებში მონაწილეობდა, ხოლო კიდევ სამ წელიწადში მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

ბარსელონაში ის შეუდარებელი იყო. თვით ავსტრალიელი იან ტორპიც კი დაჩრდილა და აუზების პირველი ვარსკვლავის არაოფიციალური წოდებაც ჩამოართვა. მისგან რეკორდს როგორ არ ელოდნენ, მაგრამ ერთბაშად ამდენს? ხალხი მომავალ ლეგენდაზე ალაპარაკდა, ხოლო სპორტულმა ჟურნალისტებმა ის 60-იანი და 70-იანი წლების ამერიკელ ლეგენდას მარკ სპიცს შეადარეს. „ფელპსმა ლეგენდა გამოიწვია“, „ფელპსი სპიცს ეჯიბრება“ — ახმაურდნენ გაზეთები და სპორტული ინტერნეტ-გვერდები. განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას მის ხუთ რეკორდზე, რაკი ესეც ყველა დროის რეკორდია. თავად სპიცმა ერთ ტურნირში, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, ოთხი რეკორდი განაახლა, ფელპსმა კი მასზე მეტი შეძლო. ჭაბუკი ამერიკელი შორსაც წავიდოდა, მაგრამ მეექვსე რეკორდი შემთხვევითობამ გამოაცალა ხელიდან. ბარსელონაში 100 მეტრ ბატერფლაიში ნახევარფინალურ გაცურვაში მან 51.76 წამი უჩვენა და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა, ის ბატერფლაიშია ძლიერი და ფინალში მისგან ყველა გამარჯვებას ელოდა. მართლაც ფელპსმა წინა დღის მიღწევას 0.19 წამი ჩამოაჭრა, მაგრამ, დახეთ სასწაული, მაიკლს მისმა თანამემამულემ იან კროკერმა სრულიად მოულოდნელად გაუსწრო და რეკორდთან ერთად ჩემპიონობაც ააცალა. ეს იყო ფელპსის ერთადერთი გაწბილება მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ ჭაბუკი ამერიკელი მაინცდამაინც არ განიცდის ამ მარცხს. ბარსელონაში მან მოიგო 200 მეტრი ბატერფლაი და 200 და 400 მეტრი კომბინაციები.

ფელპსის მთავარი იარაღი სწორედ ბატერფლაია, ცურვის ოთხი სტილიდან ყველაზე ძნელი. უწინ მას იმის გამოც აკრიტიკებდნენ, რომ მხოლოდ ერთ სახეობაში ცდიდა ძალებს, ისიც ბატერფლაიში და არა თავისუფალში. თავისუფალი, იგივე კროლი, ყველაზე პრესტიჟული სახეობაა და, მთავარია, მოცურავე ამ დისციპლინაში დაფასდეს. მაგრამ ფელპსმა ამ აპრილს ყველა მიაჩუმა, როცა შტატების ჩემპიონატზე 200 თავისუფალი მეტრი მოიგო. შემდეგ მან ბრასშიც იჩემპიონა და უნივერსალი მოცურავის სახელი დაიგდო. თანაც მას ხომ ტოლი არა ჰყავს კომბინაციაში, რომელიც ოთხივე სტილს აერთიანებს.

მაგრამ ფელპსი მანც არ გაძღდის ყველა სახეობაში. უბრალოდ, დრო არ ჰყოფნის ყველაფრისთვის. ბარსელონაში ის ყოველდღე 2-3 გაცურვაში მონაწილეობდა. მეტს ვერ ასწრებდა. მწვრთნელებმა მას ექვსი დისციპლინა შეურჩიეს და ყოველ მათგანში ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლოს, მოსამზადებელ პერიოდში კვირაში 80 კილომეტრს დაცურავს.

„მაიკლი ერთ ჩემპიონატზე 13-14 გაცურვაში მონაწილეობს. ჯერ ახალგაზრდაა და ასწრებს ენერგიის აღდგენას, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ძალიან ძნელია. მაიკლის შემთხვევაში ჩვენ დაახლოებით ვლაპარაკობთ მძლეოსან სპრინტერზე, რომელიც ერთ ტურნირზე დარბის 100 და 200 მეტრზე და კიდევ 110 და 400 მეტრ თარჯრბენზეც იწევს“ — ამბობს ფელპსის მწვრთნელი ბობ ბაუმანი.

მარკ სპიციც მრავალმხრივი მოცურავე იყო და ფელპსს აქვს მასთან გაჯიბრების სურვილი და სტიმული. გაისად ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ფელპსი პატივსაცემი მიზნით ჩავა — შეუტიოს სპიცის რეკორდს, ერთ ჯერზე შვიდ ოლიმპიურ ოქროს. ჰორიზონტზე ჩანს სპიცის კიდევ ერთი უნიკალური მემკვიდრეობა — კარიერის 23 რეკორდი.

საზოგადოდ მოცურავეები ადრეულად ამთავრებენ კარიერას. სპიციც 22 წლისა ამოვიდა აუზიდან. ფელპსმა კი, ეს ესაა, დაიწყო და ჯერჯერობით არც ცურვის სურვილი განელებია. წლეულს ინდიანაპოლისში მას ჰკითხეს, უამრავ შეჯიბრში მიგიღიათ მონაწილეობა და ყველაზე დიდ უპირატესობას რომელს ანიჭებთო. „ყველა მათგანს!“ — ეს იყო თვალებანთებული ბავშვის პასუხი, რომელსაც ძალიან ბევრი ნაყინი უჩვენეს და ერთი სული აქვს, სანამ ყველას გადასანსლავს.

ირაკლი ფირაყვილი

ჰაეს?
აგასიან-სარგსიანი



დანიელა ჰანტუხოვას გამოსაჩენი ბირი არ აქვს

ACURA CLASSIC
კარლსბადი, კალიფორნია
მაგარსაფარი
საპრიზო 1 მილიონი $

მესამე წრე

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) 6:1, 6:1; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (3, ბელგია) — **ელენა დემენტიევა** (13, რუსეთი) 4:6, 6:4, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — **ლინა კრასნორუცკაია** (რუსეთი) 6:0, 7:6 (7:2); **ჩანდა რუბინი** (6, აშშ) — **ელენა დოკიჩი** (9, სერბეთი) 1:6, 6:3, 6:4; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკეთი) 6:1, 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — **მაგდალენა მალეევა** (10, ბულგარეთი) 6:4, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — **ელენა ბოვინა** (16, რუსეთი) 7:6 (7:4), 6:2; **ლიზა რეიმონდი** (აშშ) — **მარი პირსი** (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:4

უშავდო კორტებზე ბელგიელი გოგონები ყეფჩოგნაობენ. ოღონდ — თუკი ბომბორა კიმი ბომბა ფორმაშია და თავის წილ მეტოქეს 53 წუთში გასცდა, მისმა ციდა და ხლმურდლიანმა თვისტომმა ჟუსტინ ენენმა ქეროსან ელენა დემენტიევას დათრგუნვას 2 საათი და 18 წუთი მოანდომა.

ეგ კი არა, წაგებული პირველი სეტის მერე ენენი მეორესაც 2:4 აგებდა და რუსგოგოს ილაჯი რომ არ გამოსცლოდა, ეგებ ყველაფერი სხვანირად გასრულებულიყო. მაგრამ საქმეც სწორედ ეგ არის, რომ ბულდოგივით გაჯიუტებულ ჟუსტინთან მომქანცველ განდაგანებს დემენტიევამ მეტი ველარ გაუძლო და ხელსაყრელი მომენტი ჩოგნიდან გაუშვა...

სხვაფრივ: ტურნირს კვლავ დროზე ადრე გამოაკლდნენ სექსდავლათიანები — დანიელა ჰანტუხოვა და ელენა დოკიჩი. ერთიცა და მეორეც წლეულს უბადრუკად ირჯებიან და მათზე სალაპარაკოდ მაინც თუ ვიხარჯებით, ეგ ორი რამის — მათი საჩოგბურთო და ზედაც საქალო მაღალრეიტინგოსნობის გამო.

LEGG MASON TENNIS CLASSIC
ვაშინგტონი, მაგარსაფარი
საპრიზო 600 ათასი $

მესამე წრე

ანდრე აგასი (1, აშშ) — **სარგის სარგსიანი** (13, სომხეთი) 6:3, 6:2; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — **გრეგ რუზეკი** (14, ბრიტანეთი) 6:3, 7:6 (7:4); **პარადორნ შრიჩაფანი** (3, ტაილანდი) — **ბრაიან ვაალი** (16, აშშ) 7:6 (7:3), 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (4, ჩილე) — **მარიო ანჩიჩი** (15, ხორვატია) 7:5, 7:6 (7:5); **ჯეიმს ბლეიკი** (6, აშშ) — **ლარს ბურგსმიულერი** (გერმანია) 3:6, 7:5, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (10, ბრიტანეთი) — **ნიკოლაი დავიდენკო** (8, რუსეთი) 6:3, 6:4

თავის ისტორიული თანამემამულე და უბრალოდ ძმაკაც-მესპარინგე სარგის სარგსიანი ტურნირის ხუთგზის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ 58 წუთში წამოაქცია. ორ-ორ სეტში იმარჯვეს სხვა მთავარგანთესილებმაც, რომელთაგან გამორჩევას მანც ენდი როდიკი იმსახურებს.

აკი თავადაც მოგეხსენებათ, რომ ენდიბი თავისი თანარეკორდსანს, მისდარად მსოფლიოს უსწრაფეს (საათში 149-მილის სიჩქარით) მომწოდებელ გრეგ რუზეკის ედავებოდა და დღის უმთავრეს მატჩადაც სწორედ მათი შეხლა დათქმულიყო.

როდიკს ბევრი არ უწვალია — მეტოქეს მეოთხე მატჩში მესამე მარცხი აგვმა და მეოთხედფინალისკენ კამაც-კამაც გაივაკა.

IDEA PROKOM OPEN
სოპოტი, თიხნარი
საპრიზო 500 ათასი ევრო

მეორე წრე

ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — **ფრანტიშეკ ჩერმაკი** (ჩეხეთი) 4:6, 7:5, 6:2; **გილერმო პერრია** (3, არგენტინა) — **კრისტოფ როხუსი** (ბელგია) 6:1, 6:0; **ლუის ორნა** (პერუ) — **დომინიკ ჰრბატი** (7, სლოვაკეთი) 6:3, 6:1; **ოლივიე მუტი** (8, საფრანგეთი) — **მარკ-კევინ გიოლნერი** (გერმანია) 6:4, 6:2

უსახელო ჩეხის, ჩერმაკის დასამარცხებლად და მეოთხედფინალში გასაღწევად ჩემპიონთა რბოლის ამჟამინდელ ლიდერ ხუან კარლოს ფერეროს ორი მატჩბურთის მოგერიება მოუხდა.

მისმა უმთავრესმა მეტოქემ, 21 წლის არგენტინელმა გილერმო კორიამ კი, ვინაც სოპოტში შტუტგარტულ და კიცბიუელურ კორტებზე გაჩემპიონების შემდეგ ჩავიდა, ზედიზედ უკვე მე-12 გამარჯვება მიითვალა, თანაც ისე, რომ მეტოქეთათვის ქეციანი სეტიც არ დაუთმია.

რამე სისულელე თუ არ მოხდა, სოპოტურ ტიტულს სწორედ ეს ორი ჩაუქი მეთიხნარე გაითამაშებს.

MERSEDES-BENZ CUP
ლოს ანჯელესი, მაგარსაფარი
საპრიზო 380 ათასი $

მეორე წრე

სებასტიან გროსანი (2, საფრანგეთი) — **რობი ჯინებრი** (აშშ) 6:2, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (4, ბრაზილია) — **ერიკ ტაინო** (აშშ) 6:3, 7:6 (7:5); **მარკ ფილიპუსისი** (5, ავსტრალია) — **მაიკლ ჩანგი** (აშშ) 6:2, 6:4; **უეინ ფერეირა** (7, სამხრეთ აფრიკა) — **ალექს ბოგომოლოვ ნარინი** (აშშ) 7:6 (7:1), 6:3

სამგზის როლანგაროსოსანმა გუსტავო კუერტენმა თავის მეწყვილე ერიკ ტაინო შემუსრა, წლევანდელი უიმბლდონობის ფინალისტმა მარკ ფილიპუსისმა კი ტურნირის ორგზის (1996, 2000) ჩემპიონს, წლეულს დიდი ჩოგბურთიდან წარმავალ მაიკლ ჩანგს გადაურბინა.

ლევან კელაურაძე

მომავალი მოვიდა

ესპანელებს მძღოლი გამოუჩნდათ

ესპანეთს არასდროს ჰყოლია უმაღლესი დონის მეფორმულეები. „სამეფო რბოლებში“ მხოლოდ ათ პირნეელს გაუჯირითია, და ისიც შთამბეჭდავი შედეგების გარეშე. წლევანდელ ჩემპიონატამდე საუკეთესო მაჩვენებელი 1956 წელს დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებაში ალფონსო კაბეზა დე ვაკა და ლეიტონ დე პორტაგოს, შემოკლებით კი ფლავიო პორტანგოს მეორე ადგილი გახლდათ, ისიც ინგლისელ პიტერ კოლინზთან საზიაროდ მოპოვებული. კოლეგები რიგრიგობით უსხდნენ 480-კილომეტრიან დისტანციაზე ერთი და იმავე „ლანჩა-ფერარის“ საჭეს და ექვსი ქულაც, ცხადია, ძმურად გაიყვეს. მაშინ რბოლისას ამგვარი მონაცვლეობა ნებადართული იყო.

ალფონსო პორტაგოს მიღწევა თანამემამულე მძღოლთათვის 47 წელი მიუწვდომელი რჩებოდა ვუნდერკინდ ფერნანდო ალონსოს გამოჩენამდე. ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა პილოტმა თავისი „რენოთი“ მიმდინარე სეზონის ათიოდ რბოლაში უკვე იმაზე მეტი მოინაგრა, ვიდრე დანარჩენმა ცხრა ესპანელმა ერთად. რაღა გასაკვირია, რომ სამშობლოში ფანებმაც და ჟურნალისტებმაც „ცხელი ბიჭი“ ლამის ეროვნულ გმირად შერაცხეს, განსაკუთრებით ბარსელონის „კატალუნია მონტმელოზე“ ჩინებული რბოლის შემდეგ.

ალონსო, რომელიც ამ დღეებში 22 წლის შესრულდა, შარშანწინ ავსტრალიაში, მელბურნის „ალბერტ პარკის“ ავტოდრომზე 4 მარტს დებიუტისას 19 წლის და 218 დღის იყო. მასზე უმცროსებს სამეფო კლასის ბოლიდებით მხოლოდ ორს გაურბოლიათ — ახალზელანდიელი მაიკ ტაქუელი (1980) ერთი თვით ნორჩი იყო, მექსიკელი რიკარდო როდრიგესი (1961) კი სულ ათი დღით.

ფერნანდო ჩრდილოეთ ესპანეთში, ზღვის პირა მომცრო ქალაქ ოვიედოში დაიბადა 1981 წლის 29 ივლისს. ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა და მამამაც, პროფესიით ინჟინერმა შვილის გაკაჟება სპორტით გადაწყვიტა, ოღონდ საამისოდ ვთქვათ ფეხბურთი ან მძლეოსნობა კი არ შეურჩევია, არამედ კარტინგი. სენიორ ხოსე-ლუისმა საკუთარი ხელით გააკეთა პატარა მანქანა და სახლის ირგვლივ „სათამაშო“ კარტოდრომიც მოაწყო. ამით ბიჭს თავიდანვე ჩაუნერგა ავტოსპორტის სიყვარული.

— სამი წლის ვიყავი, მამაჩემმა ის პირველი კარტი რომ გამიკეთა. მან ჩემს სამრბოლო კარიერაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, ყოველთვის მეხმარებოდა და მხარს მიჭერდა, ბავშვობაშიც და ახლაც. მე მისი უსაზღვრო მადლიერი ვარ. სწორედ მამის დამსახურებაა, რომ რბოლები დღეს ჩემი ცხოვრებაა — გულს გვიშლის ფერნანდო.

იგი ექვსჯერ გახდა ესპანეთის უძლიერესი მეკარტე, 1996 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა. შემდეგ სამძღოლო კარიერა ტრადიციული გზით წარიმართა, სპეციალისტებმა უმალ დაადგეს თვალი ნიჭიერ ყმაწვილს და უკვე ორი წლის შემდეგ, ალონსო „ფორმულა-ნისანის“ საჭეს უჯდა და ევროპის პირველობაც მოიგო, ხოლო 2000 წელს უფრო მაღალი კლასის „ფორმულა 3000“-ის მსოფლიოს ჩემპიონატში „ლოლას“ ბოლიდი ი საპატიო მეოთხე ადგილზე გა კიდა.

შედეგად „ბენეტონის“ იტალიელი შეფი ფლავიო ბრიატორი, რომელმაც 90-იან წლებში მიხაელ შუმახერი ორჯერ ჩემპიონობამდე მიიყვანა, ბრჭყალებით ჩააფრინდა ახალ ტალანტს და ხანგრძლივი კონტრაქტიც გაუჯორმა. მაგრამ რაკი გუნდში 2001 წლისთვის ორივე ადგილი დაკავებული იყო, გამოცდილების მისაღებად ფერნანდო „მინარდის“ ათხოვეს.



მიესალმეთ: ფერნანდო ალონსო

სადებიუტო სეზონი ესპანელმა ჩააფლავა — ჯაგლაგი მანქანით კინკილა ქულის შოვნაც ვერ შეძლო. საუკეთესო შედეგი გერმანიაში დაკავებული მეათე ადგილი იყო, ცხრაჯერ კი ფინიშამდე ვერ მიაღწია და შარშან სათადარიგო, ტესტ-დრაივერად ჩამოაქვეითეს. ამასობაში „ბენეტონი“ ფრანგულმა ავტოვეშაპმა „რენომ“ იყიდა, ბოსად კი „ფლავიო“ დარჩა და ერთ-ერთი ტოპსაჯინიბოს ბოლიდი, რა თქმა უნდა, თავის რჩეულს ჩაბარა. ფერნანდომაც „პატრონს“ იმედი არ გაუცრუა, წლევანდელ ჩემპიონატში ლომივით იბრძვის და უკვე იმდენს მიაღწია, ბევრად გამოცდილ და სახელოვან მეტოქეებსაც რომ შეშურდებათ — თითო კვალიფიკაცია და უსწრაფესი წრე მითვალა, სამჯერ იდგა პოდიუმზე (მეორე ადგილი ესპანეთში, მესამე მალაიზიასა და ბრაზილიაში), სულ კი 39 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილში მეექვსე პოზიციაზეა.

ეს ყველაფერი მრბოლ-ბოლიდის სიძლიერესა და ოვიედოელი ბიჭის ბრწყინვალე საფორმულო მომავალზე მეტყველებს. მალაიზიაში საკვალიფიკაციო გაჯიბრების მოგებით იგი ყველა დროის უმრწემესი მეპოულე შეიქნა და მადაზეც მოვიდა. აქაოდა, ვეცდები, ყველაზე ახალგაზრდა ეტაპის მომგები (ახალზელანდიელმა ბრიუს მაკლარენმა სარეკორდო დიდი პრიზი 22 წლისამ მოიგო) და მსოფლიოს ჩემპიონიც (ბრაზილიელი ემერსონ ფიტიპალდი — 25 წლის) გავხდეო.

„მომავლის ჩემპიონის“ ახლანდელი წარმატებებით ბრიატორე, ცხადია, მეცხრე ცაზეა და თავისი ტალანტის გადაბირების მსურველთ ცივი უარით ისტუმრებს: — ფერნანდოს შესაძენად „ფერარისაც“ კი არ ეყოფა ფული. იგი თავისი პოტენციალით ახალგაზრდა მიხაელ შუმახერს მაგონებს. ამიტომაც გუნდს სწორედ ალონსოს გარშემო ვაშენებთ. ყველაფერს ვიღონებ, რათა 2005 წლისთვის ფერნანდომ „რენოთი“ ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭოს, მერე კი მშვიდად გავალ პენსიაში — აცხადებს 53 წლის აღმასრულებელი დირექტორი.

ზია ახალაძე

სუპერ-ფერნანდოს მშვენიერი თაყვანისმცემლები არ აკლია

F 1

XII ეტაპი — გერმანიის დიდი პრიზი

ჰოკენჰაიმი, 3 აგვისტო



ტრასის სიგრძე ---------- 4.574 კმ
რბოლის დისტანცია ---------- 67 წრე — 306.458 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე

შარშანდელი შედეგები: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 რ.შუმახერი (უილიამსი); 4 ბარიკელო (ფერარი); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ჰაიდფელდი (ზაუბერი)

წრის რეკორდი: 2002 — მ. შუმახერი (ფერარი) 1:16,462 (215,3 კმ/სთ)

ჰოკენჰაიმის ერთ-ერთი უგრძესი და უსწრაფესი საფორმულო ტრასა. შარშანდელი მოდერნიზაციის შემდეგ ორი კილომეტრით დამოკლდა და შეუდარებლადაც შენელდა. რაც მთავარია, „ტყის გზას“ ძველი, ნახევარსაუკუნოვანი ხიბლი მოაკლდა. რას იზამ, მთავარია, რომ ტრაკი უხიფათო გახდა, თანაც მაინტრიგებელი მოსახვევები დაემატა.

გერმანელ ქომაგთა მხრიდან დასწრება-ინტერესი გარანტირებულია: „ლუდი, სოსისი და მიხაელ შუმახერი — აი, რატომ ვართ აქ“ — ეწერა შარშან ავტოდრომის ტრიბუნაზე გაშლილ ტრანსპარანტზე. ერთი შეხედვით, „ჰოკენჰაიმრინგზე“ ტერიტორიასთან ერთად მართლაც ლამის მთელი ფორმულა ხომ გერმანულია: „ფერარის“ სუპერპილოტი მიხაელ შუმახერი, BMW-ს ძრავიანი „უილიამსის“ რალფ შუმახერი, ინგლისური „მაკლარენი“ — „მერსედესის“ ძრავების გამო და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენიანი და ნიკ ჰაიდფელდიანი შვეიცარიული „ზაუბერიც“.

გუშინ, წინასწარი კვალიფიკაციისას, ყველას რალფმა აჯობა, შემდეგ იყვნენ მისი თანაგუნდელი ხუან-პაბლო მონტოია და რენოელები იარნო ტრული და ფერნანდო ალონსო. ხოლო ფერარელებმა რუბენს ბარიკელოს და მიხაელ შუმახერმა მხოლოდ მერვე-მეცხრე შედეგები აჩვენეს...

გერმანული არქივი

მრბოლი	ქვეყანა	მიგება	ბოდიუმი	ქულა	ბოლიდი	რბოლა
აირტონ სენა	ბრაზილია	3	6	46	3	10
ხუან მანუელ ფანხიო	არგენტინა	3	5	39	3	5
ჯეკი სტიუარტი	ბრიტანეთი	3	4	35	2	9
ნელსონ პიკე	ბრაზილია	3	3	32	—	14
ალენ პროსტი	საფრანგეთი	2	6	50	3	13
მიხაელ შუმახერი	გერმანია	2	5	41	1	10
გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	2	5	36	2	14
ჯონ სურტისი	ბრიტანეთი	2	4	35	1	10
ჟაკ იქსი	ბელგია	2	4	33	4	9
ნაიჯელ მენსელი	ბრიტანეთი	2	4	32	3	12
ალბერტო ასკარი	იტალია	2	2	18	3	3
ტონი ბრუქსი	ბრიტანეთი	2	2	17	1	4
გრემ ჰილი	ბრიტანეთი	1	4	34	—	15
ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	1	6	32	—	13
კლეი რეგაცონი	შვეიცარია	1	4	25	—	8
კარლოს რუტმანი	არგენტინა	1	3	22	—	10
ნიკი ლაუდა	ავსტრია	1	3	21	2	11
ჯიმ კლარკი	ბრიტანეთი	1	2	21	4	7
მიკა ჰაკინენი	ფინეთი	1	3	20	2	10
იოხენ რინდტი	ავსტრია	1	3	20	—	6
რალფ შუმახერი	გერმანია	1	2	20	—	6
რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	1	2	20	—	6
რენე არნუ	საფრანგეთი	1	2	19	—	11
ჯეკ ბრაბემი	ავსტრალია	1	2	19	—	11
სტირლინგ მოსი	ბრიტანეთი	1	2	18	—	8
ალან ჯოუნსი	ავსტრალია	1	2	15	1	8
მიქელე ალბორეტო	იტალია	1	1	15	—	12
ჯუზეპე ფარინა	იტალია	1	2	14	—	3
დენი ჰალმი	ახალი ზელანდია	1	2	13	—	10
დეიმონ ჰილი	ბრიტანეთი	1	1	13	2	7
პატრიკ ტამბე	საფრანგეთი	1	1	12	1	9
ედი ირვინი	ბრიტანეთი	1	1	10	—	9
ჯეიმს ჰანტი	ბრიტანეთი	1	1	9	1	6
მარიო ანდრეტი	აშშ	1	1	9	1	10
დევიდ კულჰარდი	ბრიტანეთი	—	3	22	1	9
ჟაკ ვილნევი	კანადა	—	3	12	—	7
ოლივიე პანი	საფრანგეთი	—	1	10	—	8
ხუან-პაბლო მონტოია	კოლუმბია	—	1	6	1	2
ჯანკარლო ფიზიკელა	იტალია	—	—	6	—	6
ჰაინც-ჰარ.ფრენცენი	გერმანია	—	1	4	—	8
ჯენსონ ბატონი	ბრიტანეთი	—	—	2	—	3
ნიკ ჰაიდფელდი	გერმანია	—	—	1	—	3

პრიკი, ცვალი და ნამდვილი

REUTERS პორტლენდიდან





REUTERS დურბანიდან

ფეხბურთი ახლოვდება. უფრო სწორად, ოფიციალური ფეხბურთი, თორემ თამაშები (და დიდებული თამაშებიც) უკვე გახურებულა ევროპული ფეხბურთისთვის სრულიად მოულოდნელ ადგილებში, სამხრეთ აფრიკაში, აზიასა და ჩრდილო ამერიკაში. ამ უკანასკნელზე მოგზაური „მანჩესტერ იუნაიტედი“ ასევე მოგზაურებს ხვდება და უკვე ზედიზედ, 11 გოლით 2-ის წინააღმდეგ დაამარცხა „სელტიკი“, „კლუბ ამერიკა“ და „იუვენტუსი“. პორტლენდის ახლო, „ნაიკის“ სოფელში მოვარჯიშე მანჩესტერელებს კრივშიაც უცდიათ ბედი და თუ პოლ სქოულზისთვის ხელთათმანი უცხო ხილია, რიი კინი ბიჭობაში რინგზე იდგა და ფეხბურთელად მერელს გადაიქცა. ამიტომაც, კრივისა ხალისად უჩანს სამხრეთ აფრიკაში, იქ მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის სარეკლამო ტურნეთი მხარდასაჭერად მოგზაურობს „ტოტენჰემ ჰოტსპური“, დეზერტირთა ცენტრფორვარდმა რობი კინმა კი, ცოლადია, დურბანის პლაჟის გემოც გაიგო. ჯერ ჩინეთშია მადრიდის „რეალი“, რომელიც დიდი ხმაურით შეუდგა თავის ანბიურ ტურნირს. თუმცა, ჰონკონგში უკვე ელიან ამ დიად გუნდს და წაგებულის ნაცვლად ცვილის დეფიდ ბექემს ავლებენ თვალსა და ხელს. ყოველივე ამის გასწვრივ, აბა ისვენებს მიხაელ შუმახერი, რომელსაც მანჰეიმში მორიგი საქველმოქმედო თამაში გაუმართავს და სამთა შორის მოქცეული ცდილობს გოლის გატანას. ამ სამიდან ნამდვილი ფეხბურთელი მხოლოდ შტეფან ფროინდი (10) გახლავთ. ქაჩალი კაცი კომიკოსი ჯანგო ასილია, მის მარცხნივ კი ტელეწამყვანი კარსტენ შპენგემანი. დასასრულ კი ის უნდა ითქვას, რომ წლევანდელი საფეხბურთო ზაფხული მომხიბვლელი, სალაღობო და სასეიროც გამოვიდა.

REUTERS ბანგკოკიდან



საფრანგეთი

I დივიზიონი. I ტური

ლილი 1:0 ლიონი

II დივიზიონი. I ტური

ლე ავრი 0:0 ანანსი

ავსტრია

I დივიზიონი. IV ტური

ლეოგენი 1:1 კაპფენბერგი

რიდი 0:3 ვიორგლი

ტიროლი 1:0 ბად გლაიბერგი

ირლანდია

პრემიერდივიზიონი XVI ტური

კორკ სიტი 1:1 დერი სიტი

შემროკ როვერსი 0:1 უოტერფორდი

დუბლინი 1:0 დროჰედა

ბოჰემიანსი — შელბურნი გადაიდო

ამსტერდამის ოთხია ტურნირი

გალათასარაი 0:3 ინტერი

აიაქსი 0:0 ლივერპული

გერმანია

I ბუნდესლიგა. I ტური

ბაიერნი 3:1 აინტრახტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა I ტური

ვერდერი (ბ) 2:1 კილი

დორტმუნდი (ბ) 0:1 პადერბორნი

ვატენშაიდი 1:1 ზანკტ პაული

სამხრეთ რეგიონალლიგა I ტური

კაიზერსლაუტერნი (ბ) 0:4 შტუტგარტი (ბ)

კიკერსი 1:0 მაინცი (ბ)

ელვერსბერგი 1:0 აუგსბურგი

უნგრეთი

II ტური

დიოშერ ეტო 0:0 ბალატონი

რუსეთი

პრემიერლიგა. XIX ტური

ტორპედო 3:0 ორენბურგ-მეტალურგი

დინამო 1:1 როსტოვი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქროფჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ჯანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 [illegible]9
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge